პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.
КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

კვირა, 26 ივლისი, 1942 წ. № 175 (6491). ფასი 15 კაპ.

**სამხედრო-საზღვაო ფლოტის წითელფლოტელებო, მეთაურებო და პოლიტმუშაკებო! უფრო ძლიერ დასცხეთ მტერს! გემებისა და სანაპირო არტილერიის ზუსტი ცეცხლით მოსპეთ მტერი!**

**გაუმარჯოს საბჭოთა მეზღვაურებს!**

## საბჭოთა ხალხის სახელოვანი სამხედრო-საზღვაო ფლოტი

ზღვის ქვეშ, ზღვაზე, ჰაერში და მიწაზე ლეგენდარული თავდადებით იბრძვის საბჭოთა ხალხის სახელოვანი სამხედრო-საზღვაო ფლოტი, რომელიც გმირულ ბრძოლასა და შრომაში გამოიჭედა. იგი დიდი ოქტომბრის პირმშოა და მთელი მისი ისტორია განუყრელად არის დაკავშირებული თავდამსხმელი მტრების წინააღმდეგ საბჭოთა ქვეყნის შეუპოვარ ბრძოლასთან. უშიშარმა მეზღვაურებმა—მეთაურებმა, პოლიტმუშაკებმა, წითელფლოტელებმა უჭკნობი დიდებით შემოსეს სამშობლოს სალკლდოვანი ძლიერება ყინულოვან ოკეანეში, ბალტიის ზღვაში, შავ ზღვაში, ყველგან, სადაც ჩვენი ქვეყნის სახელს და ღირსებას იცავენ.

თავისი სახელოვანი საბრძოლო ტრადიცია საბჭოთა მეზღვაურებმა გმირობის ახალი დიადი ფურცლებით გაამდიდრეს და მთელ მსოფლიოს დაანახვეს, თუ რა ძალას წარმოადგენს საბჭოთა ხალხის, საბჭოთა ქვეყნის საზღვაო ფლოტი..

დაუვიწყარია ჩვენი ფლოტის ლეგენდარული ბრძოლები გამხეცებული ფაშისტი ავაზაკების წინააღმდეგ. დაუვიწყარია ჩვენი ზღვების უშიშარი რაინდების მამაცობა და შეუპოვრობა ჰიტლერული ხროვის წინააღმდეგ ბრძოლაში. განუსაზღვრელია საბჭოთა მეზღვაურების სიყვარული სამშობლოსადმი, ერთგულება და თავდადება **ლენინ-სტალინის** დიადი პარტიის საქმისადმი.

სახელოვანი ბალტიის ფლოტი გმირულად იცავს უძლეველ ქალაქს ლენინგრადს.

შავი ზღვის ფლოტის გმირულ ბრძოლაში ფაშიზმის წინააღმდეგ ცოცხლობს და მრავლდება შავზღვეელი მეზღვაურების უჭკნობი საბრძოლო ტრადიციები. სევასტოპოლის გმირული დაცვა რვა თვის განმავლობაში მჭიდროდ არის დაკავშირებული შავი ზღვის ფლოტის მამაცობასთან, რამაც ერთხელ კიდევ ცხადჰყო, რომ ადმირალების ნახიმოვისა და კორნილოვის, მატროსების ჟელეზნიაკოვის, კოშკას და სახელოვან ლეიტენანტ შმიდტის საბრძოლო ტრადიციები ცოცხლობენ და დღეგრძელობენ სოციალისტური სამშობლოს სადიდებლად.

შავი ზღვის ფლოტის უშიშარი მეზღვაურები იყვნენ რვა თვის განმავლობაში საკუთარი მკერდით რომ იცავდნენ გმირი წითელი არმიის ნაწილებთან ერთად ალყაშემორტყმულ ქალაქს—სევასტოპოლს.

შავი ზღვის ფლოტის სახელოვანი მეზღვაურები იყვნენ, ხუთი მათგანი რომ შეუვარდა ტანკებს მუხლუხებ ქვეშ წელზე გრანატებშემორტყმული; ისინი მამაცთა სიკვდილით დაიღუპნენ, მაგრამ მტერი არ გამოუშვეს ქალაქისაკენ.

შავი ზღვის ფლოტის სამხედრო ხომალდები იყვნენ რუმინეთის ნაპირებთან გმირულად რომ უტევდნენ ავაზაკ ჰიტლერის ლაქია ანტონესკუს ვაი-მეომრებს.

შავი ზღვის ფლოტის სახელოვანი საბრძოლო ხომალდები იყვნენ მამაცობისა და გმირობისათვის რომ გარდაიქმნენ გვარდიის ხომალდებად და ახლაც უვნებლად დასცურავენ მტერთა თავზარდასაცემად.

ბინძურმა ფაშისტურმა პროპაგანდამ არაერთხელ გამოაცხადა შავი ზღვის ფლოტი მოსპობილიაო, ჰებელსის სამინისტრომ სამელნეში არაერთხელ ჩასძირა ჩვენი ხომალდები, მაგრამ ისინი კვლავ მრისხანე ძალად დგახან და მძლავრად ურტყამენ ფაშისტ აგრესორებს.

ჩვენი ქვეყნის მძლავრ სამხედრო-საზღვაო ფლოტში არიან უშიშარი მამაცი მებრძოლები. ამხანაგმა **სტალინმა** 1929 წელს „კრეისერ „ჩერვონა უკრაინას“ საპატიო სტუმრების შთაბეჭდილებათა წიგნში ჩასწერა, რომ „სასიამოვნოა საქმე გვქონდეს ასეთ ამხანაგებთან.. სასიამოვნოა მტრებს ებრძოდე ასეთ მებრძოლთა რიგებში“.

შავი ზღვის ფლოტი გმირულად იცავს საბჭოთა კავშირის სამხრეთის საზღვრებს და მან წლების განმავლობაში მრავალათასობით აღზარდა უშიშარი საბჭოთა მეზღვაურების ბრწყინვალე კადრები.

კრეისერ „კრასნი კავკაზზე“ ყოფნისას 1934 წელს ამხ. მოლოტოვი სწერდა, რომ „კრასნი კავკაზის“ წითელფლოტელები, მეთაურები და პოლიტმუშაკები საჭირო მომენტში გვიჩვენებენ სახელოვანი ბრძოლის არა ერთ მაგალითსო. შესანიშნავმა ხომალდმა სასახელოდ გაამართლა ეს სიტყვები გერმანიის პირსისხლიანი ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე.

ჩვენი ქვეყანა კანონიერად ამაყობს თავისი ბრწყინვალე სამხედრო-საზღვაო ფლოტით, რომელსაც საჭირო რაოდენობითა ჰყავს სახაზო გემები და კრეისერები, ნაღმოსნები და „ზღვის მონადირეები“ — კატერები და ტრალერები, შესანიშნავი წყალქვეშა ნავები. ჩვენს ფლოტს ჰყავს საუცხოო საზღვაო ავიაცია, რომლის მფრინავები სასწაულებს ახდენენ და გამანადგურებლად ურტყამენ მტერს ყველგან—ჰაერში, მიწაზე და წყალზე.

**ლენინმა** და **სტალინმა** გამოსჭედეს ჩვენი ქვეყნის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ძლიერება და სიმტკიცე. პირსისხლიანი ფაშიზმის წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის დღეებში არნახული ძალით გამოვლინდა ეს ძლიერება, ეს სიმტკიცე. და ახლა, როცა გამხეცებული მტერი წინ მოძვრება, ცდილობს ხელში ჩაიგდოს ჩვენი სამშობლოს სასიცოცხლო ცენტრები, საბჭოთა სამხედრო-საზღვაო ფლოტი ვერაგ მტერს ურტყამს კიდევ უფრო ძლიერად, კიდევ უფრო მრისხანე ძალით, რათა განხორციელებულ იქნას დიდი **სტალინის** საპირველმაისო ბრძანება—საბოლოოდ გავანადგუროთ გერმანელ ფაშისტთა ჯარები 1942 წელს.

მთელი საბჭოთა ხალხი ზურგში გმირული შრომით და ფრონტზე თავდადებული ბრძოლით სჭედავს ვერაგ მტერზე გამარჯვებას. იგი მზად არის გადაიტანოს ყოველგვარი განსაცდელი და რა მრისხანე საფრთხეც არ უნდა ჩამოაწვეს ჩვენს ქვეყანას, ბოლომდე იბრძოლოს, ვიდრე საბოლოოდ არ იქნება განადგურებული საზიზღარი ჰიტლერული ხროვა. ამ გიგანტურ ისტორიულ ბრძოლაში ლეგენდარული გმირობით იცავს საბჭოთა ხალხის ღირსებას, თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას ჩვენი დიადი სამშობლოს მძლავრი სამხედრო-საზღვაო ფლოტი.



მე-2 სტატიის ზემდეგი ამხ. ა. ს. ჭოხონელიძე საბრძოლო ვახტზე.

ფოტო ვ. ჯეირანოვისა.

## წითელი არმიის უმაღლეს უფროსთა შემადგენლობისათვის სამხედრო წოდებათა მინიჭების შესახებ

### სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო **ადგენს:**

მიენიჭოს წითელი არმიის უმაღლეს უფროსთა შემადგენლობის ქვემომოხსენებულ პირთ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 7 მაისის ბრძანებულებით დაწესებული სამხედრო წოდებანი:

**არტილერიის გენერალ-მაიორის** წოდება

პეტრე ალექსის-ძე **დეგტიარევს.**

**საინჟინრო-საავიაციო სამსახურის გენერალ-მაიორის** წოდება

ანდრია გრიგოლის-ძე **კოსტიკოვს.**

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ი. სტალინი**

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ი. ჩადაევი**

მოსკოვი, კრემლი. 1942 წლის 25 ივლისი.

## საბჭოთა კავშირის გმირი ამხ. მ. გახოკიძე თბილისის ავტოსარემონტო ქარხნის მუშებთან

25 ივლისს თბილისის ავტოსარემონტო ქარხნის მუშაკთა კოლექტივს სტუმრად ეწვია ქართველი ხალხის საამაყო შვილი, სევასტოპოლის გმირული დაცვის მონაწილე, საბჭოთა კავშირის გმირი ამხ. მიხეილ ლევანის-ძე გახოკიძე. ქარხნის მუშებმა, მოსამსახურეებმა და ინჟინერ-ტექნიკოსებმა ამხ. გახოკიძეს გულთბილი შეხვედრა მოუწყეს.

საღამოს 8 საათისათვის საქარხნო კლუბის დარბაზში თავი მოიყარეს ქარხნის სახელოვანმა ადამიანებმა — ათასოვნებმა, მოწინავე სტახანოველებმა, ინჟინერ-ტექნიკოსებმა და მოსამსახურეებმა. სტუმრის გამოჩენას დარბაზში თავმოყრილნი მხურვალე ტაშითა და მისალმების შეძახილებით შეხვდნენ. წითელი დროშებითა და ყვავილებით მორთულ სცენაზე გმირს მიესალმნენ ქარხნის ხელმძღვანელები, საქ. კ. პ. (ბ) ლენინის რაიკომის მდივანი ამხ. ი. გეტაშვილი და ლენინის რაიონის საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები. აქვე იყვნენ საქართველოს მწერლები და პოეტები—ა. აბაშელი, გ. ქუჩიშვილი, ს. თავაძე, ს. წვერავა, ი. ლისაშვილი, ბ. სერებრიაკოვი და სხვ.

ქარხნის პარტორგანიზაციის მდივანი ამხ. ნ. დოქსოპულო მიესალმა სტუმარს ქარხნის მუშათა კოლექტივის სახელით და აღუთქვა მას, რომ ქარხნის მუშები ისევე გმირულად იმუშავებენ ჩვენი წითელი არმიის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, როგორც ამხ. მ. გახოკიძე იბრძოდა ჩვენი ქვეყნის უბოროტესი მტრების—ჰიტლერელი კაციჭამიების გასანადგურებლად. ამხ. დოქსოპულომ სიტყვა მისცა ამხ. მიხეილ გახოკიძეს, რომლის გამოჩენას ტრიბუნაზე მუშებითა და ინჟინერ-ტექნიკოსებით გაჭედილი დარბაზი ტაშითა და მისალმებათა შეძახილებით შეხვდა.

ამხ. გახოკიძე მიესალმა ქარხნის მუშებს, მოსამსახურეებს და ინჟინერ-ტექნიკოსებს და უსურვა მათ ახალი საწარმოო გამარჯვებების მოპოვება. შემდეგ ამხ. გახოკიძემ დამსწრეთ მოუთხრო სევასტოპოლის გმირული დაცვის სხვადასხვა საბრძოლო ეპიზოდები, ყურადღებითა და ინტერესით ისმენდნენ მუშები გმირის ნაამბობს.

— გმირი წითელი არმია,—სთქვა თავის სიტყვის დასასრულს ამხ. გახოკიძემ,—დიდი **სტალინის** ხელმძღვანელობით ბოლომდე გაანადგურებს ჰიტლერელ ავაზაკებს, და ჩვენი ძლევამოსილი დროშები კვლავ აფრიალდება განთავისუფლებულ ჩვენს მიწა-წყალზე. გაუმარჯოს ჩვენს მამას, მასწავლებელს, გენიალურ მხედართმთავარს მშობლიურ დიდ **სტალინს!**

დიდი ბელადის სახელის ხსენებისას იგრიალა ტაშმა და გაისმა შეძახილები ამხანაგ **სტალინის,** უძლეველი წითელი არმიისა და ჩვენი სახელოვანი სამხედრო-საზღვაო ფლოტის პატივსაცემად.

ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა სახელით მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა ქარხნის ერთ-ერთი საამქროს მუშა ათასოვანი გ. წიკლაური. მიტინგზე სიტყვა წარმოსთქვა მწერალმა ამხ. ს. წვერავამ, რომლის შემდეგ საბჭოთა კავშირის გმირის ამხ. გახოკიძისადმი მიძღვნილი ლექსი წაიკითხა პოეტმა ა. აბაშელმა.

ავტოსარემონტო ქარხნის კომკავშირელთა სახელით სიტყვა წარმოსთქვა კომკავშირელმა ათასოვანმა ამხ. შ. კაპანაძემ. მან განაცხადა, რომ ამხ. გახოკიძის მიერ ჩვენი ქვეყნის მტრებთან ბრძოლაში გამოჩენილი გმირობისა და თავდადების საპასუხოდ ქარხნის კომკავშირელები სიტყვას იძლევიან კიდევ უკეთ იმუშაონ და მეტი წარმატებით შეასრულონ ფრონტის დაკვეთები.

შემდეგ საკუთარი ლექსები წაიკითხეს პოეტებმა ს. თავაძემ, ი. ლისაშვილმა და გ. ქუჩიშვილმა. საქართველოს სახალხო პოეტის გ. ტაბიძის ლექსის თარგმანი რუსულ ენაზე წაიკითხა მთარგმნელმა პოეტმა ამხ. ბ. სერებრიაკოვმა. მიტინგის დამთავრებისას ქარხნის მუშა ქალებმა სტუმარს თაიგულები მიართვეს.

საბჭოთა კავშირის გმირის მ. გახოკიძის შეხვედრა თბილისის ავტოსარემონტო ქარხნის მუშებთან გადაღებულ იქნა ეკრანისათვის კინოქრონიკის ბრიგადის მიერ.

## ფულისა და ნივთების მეორე ლატარიის ბილეთების გავრცელება წარმატებით მიმდინარეობს

**საბჭოთა საქართველოს მშრომელნი** დიდი პატრიოტული აღფრთოვანებით შეხვდნენ სსრ კავშირის ფინსახკომის ცნობას ფულისა და ნივთების მეორე ლატარიის გამოშვების შესახებ. მშრომელებმა იციან, რომ ფულისა და ნივთების ლატარიით შემოსული სახსრები მოხმარდება წითელი არმიის შეიარაღებას, სომარი მასალისა და საჭურვლის შეძენას, ვერაგი მტრის—გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა დაჩქარებით განადგურებას.

გუშინ თბილისის საწარმო-დაწესებულებებში და ტრანსპორტზე ჩატარებულ მიტინგებზე მუშა-მოსამსახურეებმა, რომლებიც გაეცნენ ფულისა და ნივთების მეორე ლატარიის პირობებს, გამოსთქვეს ერთსულოვანი აზრი შეიძინონ ლატარიის ბილეთები საშუალოდ მათი ხელფასის 10 პროცენტის რაოდენობით.

მიტინგების დამთავრების შემდეგ წარმატებით გაიშალა ლატარიის ბილეთების შეძენა. ამას მოწმობს პირველი დღის ის შედეგები, რასაც ქვემოთ ვაქვეყნებთ.

საქართველოს სსრ შრომის შემნახველი სალაროებისა და სახკრედიტის სამმართველოს ცნობით, თბილისში 25 ივლისის ღამის 10 საათისათვის ლატარიის ბილეთებზე 49.671 კაცს ხელი მოწერილი ჰქონდა 3.562.000 მანეთის რაოდენობით; აქედან ბერიას რაიონში გავრცელებული იყო 838.000 მანეთის ბილეთები, 26 კომისრის რაიონში—813.000 მან., ლენინის რაიონში—550.000 მან., მოლოტოვის რაიონში—432.000 მან., სტალინის რაიონში—387.000 მან., კიროვის რაიონში—362.000 მან. და ორჯონიკიძის რაიონში—175.000 მანეთისა.

**სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანაში** გუშინ დღის 5 საათისათვის ბილეთებზე ხელი მოწერილი ჰქონდა 1.300 კაცს 121.300 მანეთის რაოდენობით. ქარხნის ათასოვანმა ბექუაშვილმა შეიძინა 200 მანეთის ბილეთები, ორდენოსანმა გოცირიძემ—300 მანეთის და ა. შ.

**კიროვის სახელობის თბილისის დაზგათმშენებელ ქარხანაში** დღის 5 საათზე შეაჯამეს ლატარიის ბილეთებზე ხელმოწერის პირველი შედეგები და აღმოჩნდა, რომ აღნიშნული დროისათვის პირველ ცვლაში ხელი მოწერილი ჰქონდა 692 კაცს 69.300 მანეთის რაოდენობით. ამ ქარხნის მთელმა რიგმა მოწინავე ადამიანებმა ხელი მოაწერეს ბილეთებს თავიანთი საშუალო ხელფასის 20 პროცენტის ოდენობით.

**თბილისის ავტოსარემონტო ქარხანაში** დღის 5 საათისათვის ლატარიის ბილეთებზე ხელმოწერის თანხა შეადგენდა 57.200 მანეთს, ხელი მოაწერა 773 კაცმა.

**ლ. პ. ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკაში** დღის 4 საათისათვის ლატარიის ბილეთები შეძენილი ჰქონდა მუშათა დიდ უმრავლესობას. ამ დროისათვის ხელმოწერის საერთო თანხა შეადგენდა 76.300 მანეთს, რაც ხელის მომწერთა თვიური ხელფასის 13 პროცენტს აღემატება. ფაბრიკის საშტამპო საამქროს მუშა-მოსამსახურეებმა ხელი მოაწერეს თვიური ხელფასის 20 პროცენტის ოდენობით.

**თბილისის თეატრებსა და კინოსტუდიაში** გუშინ დილით დაიწყო ფულისა და ნივთების მეორე ლატარიის ბილეთების გავრცელება.

რუსთაველის თეატრის იმ მუშაკებმა, რომლებიც ამჟამად თბილისში არიან, ხელი მოაწერეს 4.500 მანეთის ბილეთებზე. მარჯანიშვილის თეატრის დირექტორმა ამხ. შ. ღამბაშიძემ 500 მანეთის ბილეთები შეიძინა, ხოლო თეატრის მუშაკებმა, რომლებიც ამჟამად თბილისში არიან, ხელი მოაწერეს 10.400 მანეთის ბილეთებზე. გრიბოედოვის თეატრის 66 მუშაკმა ხელი მოაწერა 5.260 მანეთის ბილეთებზე. ამავე თეატრის დირექტორმა შახაზიზოვმა და მხატვარმა ლოქტინმა ხელი მოაწერეს თვიური ხელფასის 20 პროცენტზე. მუსკომედიის თეატრის კოლექტივმა შეიძინა 2.960 მანეთის ბილეთები.

**ხელოვნების საქმეთა სამმართველოს** მუშაკებმა ხელი მოაწერეს 2.540 მანეთის ბილეთებზე. თბილისის კინოსტუდიის კოლექტივმა შეიძინა 11.000 მანეთის ბილეთები.

**საქ. სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატში** 41 თანამშრომელმა ბილეთებზე ხელი მოაწერა 31.280 მანეთის რაოდენობით, რაც მათი საშუალო თვიური ხელფასის 16,3 პროცენტს შეადგენს.

წალენჯიხის რაიონში 25 ივლისის საღამოს 8 საათისათვის ძირითადად დამთავრდა ლატარიის ბილეთებზე ხელის მოწერა. კოლმეურნეებმა ხელი მოაწერეს 251.000 მანეთზე, მუშა-მოსამსახურეებმა—42.640 მანეთზე. სულ რაიონში ხელმოწერილია 303.640 მანეთზე. აღნიშნული თანხა ნაღდად შეტანილია შემნახველ სალაროში.

ფულისა და ნივთების მეორე ლატარიის ბილეთების გავრცელება წარმატებით მიმდინარეობს საქართველოში.

### გმირის წვლილი

დიდი კმაყოფილებით შეხვდა ცნობას ფულისა და ნივთების ლატარიის მოწყობის შესახებ სევასტოპოლის შესანიშნავი დაცვის მონაწილე, საბჭოთა კავშირის გმირი, უმცროსი პოლიტხელი ამხ. მ. გახოკიძე, რომელიც თბილისში იმყოფება.

ლატარიის ბილეთებზე ხელმოწერისას ამხ. მ. გახოკიძემ განაცხადა:

— სიხარულით ვაძლევ სახელმწიფოს ჩემს დანაზოგს, რაც მოხმარდება ჩვენი სახელოვანი წითელი არმიის კიდევ უფრო მძლავრ ტექნიკურ შეიარაღებას. საბჭოთა მთავრობისათვის მიცემული თითოეული ზედმეტი შრომით კაპიკი გამანადგურებელი ლახვარია საზიზღარი მტრისათვის. იგი გვიახლოებს ფაშისტი მხეცების საბოლოო განადგურების დღეს.

ამხ. მ. გახოკიძემ 900 მანეთის ლატარიის ბილეთები შეიძინა.

### ერთსულოვნად აწერენ ხელს

**ბათუმი,** 25 ივლისი (საქინფორმი). აჭარის მშრომელნი ერთსულოვნად აწერენ ხელს ფულისა და ნივთების ლატარიის ბილეთებზე. რკინიგზის კვანძის სავაგონო უბნის მიტინგზე ოსტატმა ამხ. სიხარულიძემ სთქვა:

— ჩვენ მხურვალედ ვუჭერთ მხარს მთავრობის გადაწყვეტილებას ფულისა და ნივთების მეორე ლატარიის მოწყობის შესახებ. მშვენივრად ვიცით, რომ ლატარიის ბილეთების რეალიზაციით შემოსული სახსრები მთლიანად მოხმარდება ჩვენი სამშობლოს თავდაცვითი ძლიერების გადიდებას, პირსისხლიანი მტრის განადგურებას. ნაშუადღევის 2 საათისათვის რკინიგზელთა შორის გავრცელებულ იქნა 48.000 მანეთის ლატარიის ბილეთები.

დიდი აღფრთოვანებით ჩაიარა აგრეთვე მიტინგებმა და კრებებმა მანქანათმშენებლობის ქარხანაში, ფეხსაცმლის ფაბრიკაში და ქალაქის სხვა საწარმოებში.

### ნაღდი ფული შეაქვთ

**სოხუმი,** 25 ივლისი (საქინფორმი). აფხაზეთის მშრომელები უდიდესი აღფრთოვანებით აწერენ ხელს ფულისა და ნივთების ლატარიას. საწარმოებში და საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობებში მიტინგები იმართება.

სოხუმის პურის საცხობის ბრიგადირმა ამხ. ჩხვერევამ, რომელმაც ლატარიის ბილეთებზე ხელი მოაწერა 160 მანეთის რაოდენობით, სთქვა:

— ლატარიის ბილეთებზე ხელმოწერით გმირ წითელ არმიას მივცემთ ნეტ ტანკს, თვითმფრინავსა და სხვა იარაღს, რაც კი საჭიროა მტრის გასანადგურებლად.

ქარხნის დღის ცვლის კოლექტივმა ნახევარ საათში შეიძინა 4.500 მანეთის ბილეთები.

დიდი პატრიოტული აღფრთოვანებით ჩატარდა ხელმოწერა გუდაუთის მტს-ში. მთელი ხელმოწერის თანხა—1.660 მან. მტს-ის კოლექტივმა ნაღდ ფულად შეიტანა.

8.000 მანეთზე მეტი თანხის ბილეთები შეიძინეს სოხუმის თამბაქოს ფაბრიკის მუშებმა.

### გავრცელებულია 430.000 მანეთის ბილეთები

მახარაძის რაიონის მშრომელები პატრიოტული ენტუზიაზმით შეხვდნენ ფულისა და ნივთების მეორე ლატარიის მოწყობას. ხელმოწერის პირველ დღეს, 25 ივლისს, რაიონში გავრცელებულ იქნა 430.000 მანეთის ბილეთები. დიდი წარმატებით ჩატარდა ხელმოწერა რაიკოოპკავშირში, სტამბაში, აბრეშუმის ფაბრიკაში და ქალაქის სხვა საწარმო-დაწესებულებაში.

ფულისა და ნივთების მეორე ლატარიის ბილეთების გავრცელება გრძელდება. (საქინფორმი).

## ორდენებისა და მედლების გადაცემა ლენინგრადის სახანძრო დაცვისა და ადგილობრივი საჰაერო თავდაცვის მებრძოლებისა და მეთაურებისათვის

**ლენინგრადი,** 25 ივლისი (საკდესი). ხანძარსაწინააღმდეგო თავდაცვის სანიმუშოდ მომზადებისათვის, ხანძრების ლიკვიდაციის დროს პირადი შემადგენლობის მიერ გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის ლენინგრადის ქალაქის სახანძრო დაცვა დაჯილდოებულია ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დავალებით მშრომელთა დეპუტატების ლენინგრადის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. პოპკოვმა მაღალი ჯილდო გადასცა დაცვის კოლექტივს. ორდენი ჩაიბარა პოლკოვნიკმა სერიკოვმა.

შემდეგ ამხ. პოპკოვმა ორდენები და მედლები გადასცა სახანძრო დაცვისა და ადგილობრივი საჰაერო თავდაცვის დაჯილდოებულ მუშაკებს.

## ბრძანებულება

### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### სამხედრო-საზღვაო ფლოტის უფროსთა და რიგითი შემადგენლობისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

გერმანელ დამპყრობლებთან ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან მამაცობისა და გმირობის გამოჩენისათვის მიენიჭოთ **საბჭოთა კავშირის გმირის** წოდება და გადაეცეთ **ლენინის ორდენი** და მედალი **„ოქროს ვარსკვლავი“:**

1. ზემდეგ ნოე პეტრეს-ძე **ადამიას.**
2. წითელფლოტელ პეტრე ნიკოლოზის-ძე **ლიპოვენკოს**
3. უფროს ლეიტენანტ ივანე სიმონის-ძე **პიანზინს**
4. კაპიტან თევდორე ნიკოლოზის-ძე **ტურგენევს.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. კალინინი**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ა. გორკინი**

მოსკოვი, კრემლი. 1942 წლ. 24 ივლისი.

## სამხედრო-საზღვაო ფლოტის უფროსთა შემადგენლობის დაჯილდოება ორდენებით

გერმანელ დამპყრობლებთან ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ა. წ. 24 ივლისის ბრძანებულებით დაჯილდოებული არიან:

ლენინის ორდენით—დივიზიის კომისარი ნიკოლოზ მიხეილის-ძე კულაკოვი, ვიცე-ადმირალი ფილიპე სერგის-ძე ოქტიაბრსკი, გენერალ-მაიორი ივანე ექვთიმეს-ძე პეტროვი, დივიზიის კომისარი ივანე ფილიპეს-ძე ჩუხნოვი.

წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულია—36 კაცი;

სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენით—5 კაცი;

წითელი ვარსკვლავის ორდენით—17 კაცი. (საკდესი).

## აზოვ-შავი ზღვის აუზის სატრანსპორტო ფლოტის მეზღვაურთა დაჯილდოება

შავი ზღვისა და აზოვის ზღვის სატრანსპორტო ფლოტის მეზღვაურები სამამულო ომის პირველი დღეებიდანვე უძნელეს პირობებში ასრულებენ სამხედრო სარდლობის პასუხსაგებ დავალებებს.

დიდი მნიშვნელობის დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან მამაცობისა და გულადობის გამოჩენისათვის ფრონტის სარდლობამ საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა შავი ზღვისა და აზოვის ზღვის სატრანსპორტო ფლოტის მუშაკთა ჯგუფი.

**ლენინის ორდენით** დაჯილდოებულია კაპიტანი ს. ი. ნევეჩეროვი.

**წითელი დროშის ორდენით** დაჯილდოებულია 15 კაცი.

**წითელი ვარსკვლავის ორდენით**—28 კაცი.

მედლით „მამაცობისათვის“ — 3 კაცი.

მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის“— 9 კაცი. (საკდესი).

## სნაიპერ ნოე ადამიას გმირობა

(„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტისაგან)

მზიური საქართველოს მრავალი სასახელო შვილი გმირობისა და დიდების უჭკნობ სახელს იხვეჭს სამამულო ომის ფრონტზე სამშობლოს დაცვისათვის ბრძოლაში.

1942 წლის 1 ივლისის გაზეთ „კრასნი ჩერნომორეცში“ სამხედრო კორესპონდენტი პეტროვი მოგვითხრობს სევასტოპოლის მამაც დამცველთა რიგებში მყოფ **ნოე ადამიას** გმირობას. რამდენიმე დღის განმავლობაში მან 200 ფაშისტი მოსპო და მებრძოლთა მცირე ჯგუფით ფაშისტთა არაერთი იერიში ბრწყინვალედ მოიგერია.

„ამხ. ჟიდილოვის ნაწილის სნაიპერ-ინსტრუქტორმა ზემდეგმა ამხ. ადამიამ, დაინახა რა ფაშისტთა სამი ტანკი, რომლებიც ჩვენი პოზიციებისაკენ მოემართებოდნენ, ტანკსაწინააღმდეგო თოფის ზუსტი ცეცხლი შეახვედრა მათ. მტრის ერთი ტანკი მოსპო, ხოლო ორი დანარჩენი აიძულა უკან გაბრუნებულიყვნენ.

თერთმეტი მეავტომატით ადამიამ ხანგრძლივი საცეცხლე წერტი დაიკავა და ავტომატის ცეცხლით შეაჩერა მტრის წინსვლა. გერმანელებმა შემოუარეს საცეცხლე წერტს და ყოველი მხრიდან მიიტანეს იერიში. ადამია არ დაიბნა. მარტო მან თავისი შაშხანით 35 ჰიტლერელი მოსპო. მთელმა ჯგუფმა მტრის ერთ ასეულამდე ქვეითი ჯარი გაანადგურა და მათი იერიში ჩაშალა.

მტერმა მარცხი განიცადა, მაგრამ თავი მაინც არ დაუნებებია ხანგრძლივი საცეცხლე წერტისათვის. ჰიტლერელებმა ღია პოზიციაზე გამოაგორეს 45-მილიმეტრიანი ქვემეხი და ხშირი ცეცხლი მიმართეს ჩვენი მებრძოლების წინააღმდეგ. მაშინ ადამია შეუმჩნევლად მიეპარა ქვემეხს და შაშხანის ცეცხლით ქვემეხის მთელი გუნდი მოსპო. ქვემეხი დადუმდა.

მტერმა გადასწყვიტა არ მორიდებოდა მსხვერპლს და მოესპო მეავტომატეთა ჯგუფი, რომელსაც ამხ. ადამია მეთაურობდა. გერმანელთა ორმა ოცეულმა იერიში მიიტანა ერთ მუჭა ჩვენს მებრძოლებზე. მამაცები ჩაებნენ უთანასწორო ბრძოლაში. ამ იერიშის მოგერიებისას ჩვენმა მებრძოლებმა 49 ფაშისტი მოსპეს, გადარჩენილი ფრიცები კი აიძულეს პანიკით მოცულნი გაქცეულიყვნენ. რამდენიმე ხნის შემდეგ მეავტომატეთა ჯგუფის წინააღმდეგ იერიშისათვის დაიძრა ფაშისტთა ერთ ბატალიონზე მეტი. მათ ხელახლა შეახვედრეს ჩვეული ცეცხლი. ორ ასეულზე მეტი დაჰკარგა მტერმა ამხ. ადამიას მეავტომატეთა ზუსტი ცეცხლით. გერმანელებმა ერთი დღის განმავლობაში სამჯერ დაიხიეს უკან.

ზემდეგმა მეავტომატეთა მცირე ჯგუფით დაიკავა თავდაცვითი პოზიცია ფლანგზე, საიდანაც ჩვენი ჯარებისათვის ზურგიდან შემოვლის საშიშროება შეიქმნა. რამდენიმე საათის განმავლობაში ეს ჯგუფი ზუსტი ცეცხლით აჩერებდა მტრის მოწოლას. ამ ბრძოლაში მარტო ადამიამ 40 ჰიტლერელი მოსპო შაშხანით.

მალე მტრის ორი ათეული გარს შემოერტყა მამაც მებრძოლს. ადამიამ 9 ფაშისტი კიდევ დააწვინა, ხოლო დანარჩენნი გააქცია, თვით კი უვნებელი დაბრუნდა. ერთი დღის განმავლობაში ადამიამ შაშხანით კიდევ 22 ჰიტლერელი მოსპო.

16-დან 22 ივნისამდე ამხ. ადამიამ 200 ფაშისტი მოსპო, გაანადგურა ერთი ტანკი და მებრძოლთა მცირე ჯგუფით მტრის ჭარბი ძალების ათამდე იერიში მოიგერია“.

**გ. მერკვილაძე**

# საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

## 25 ივლისის დილის ცნობა

[illegible]

ჯარებთან. ავიაცია, სახმელეთო ნაწილებთან თანამოქმედებით, განუწყვეტლივ ურტყამდა მოწინააღმდეგის საბრძოლო წყობილებებს, მის ზურგსა და კომუნიკაციებს. იმ ნაწილის მფრინავებმა, რომელსაც ამხ. კროსოვსკი მეთაურობს, 5 დღეში მოსპეს გერმანელთა რამდენიმე ათეული ტანკი, 300-ზე მეტი ავტომანქანა, 6 ბენზინცისტერნი, 40 საველე და საზენიტო ქვემეხი, დაანგრიეს 9 წყალგადასასვლელი და გაჟლიტეს მოწინააღმდეგის 4 ბატალიონამდე ქვეითი ჯარი. უმცროს ლეიტენანტ სალმანოვის ბატარიის არტილერისტებმა 2 დღეში დააზიანეს გერმანელთა 7 ტანკი.

• • •

როსტოვის რაიონში გრძელდება მძიმე ბრძოლები მოწინააღმდეგის ტანკებისა და მოტოქვეითი ჯარის რიცხვობრივად ჭარბ ძალებთან. ერთ-ერთ უბანზე გერმანელებმა მოახერხეს შემოჭრილიყვნენ ჩვენი ჯარების განლაგებაში. გააფთრებულ ბრძოლაში, რომელიც ხშირად ხელჩართულ შეტაკებებში გადადიოდა, ჩვენმა მებრძოლებმა გაჟლიტეს 2.000-ზე მეტი ჰიტლერელი, დასწვეს გერმანელთა 18 ტანკი, მოსპეს 3 თვითმავალი ქვემეხი და 14 ტყვიამფრქვევი. სხვა უბანზე გერმანელებმა მოახერხეს რამდენადმე წინ წაწეულიყვნენ მხოლოდ მას შემდეგ, რაც ამ ზღუდის ყველა დამცველნი, რომლებიც უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოდნენ თავიანთი მშობლიური მიწა-წყლისათვის, ვაჟკაცური სიკვდილით დაიღუპნენ. გერმანელთა ზარალი ამ უბანზე რამდენჯერმე აღემატება ჩვენს ზარალს.

• • •

ციმლიანსკაიას რაიონში ჩვენი ჯარები ეწეოდნენ თავდაცვით ბრძოლებს დონზე გადასასვლელებისათვის. გერმანელები ცდილობენ რადაც უნდა დაუჯდეთ გამოიჭრან მდინარის სამხრეთ ნაპირზე და ჩვენი ჯარების დარტყმებით უდიდესი ზარალი მოსდით. ერთ-ერთ უბანზე ჩვენმა არტილერისტებმა ჩასძირეს რამდენიმე ათეული გასაბერავი ნავი და ტივი, გასწყვიტეს 500-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. სხვა უბანზე ნ ნაწილის არტილერისტებმა მძლავრი ცეცხლითი თავდასხმა მოახდინეს მტრის თავმოყრილ ტანკებსა და ქვეით ჯარზე. მოსპეს გერმანელთა 10 ტანკი, გაჰფანტეს და ნაწილობრივ გასწყვიტეს 1 ბატალიონამდე ჰიტლერელი.

• • •

ლენინგრადის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე ჩვენი ჯარები აქტიურ საბრძოლო მოქმედებას

[illegible]

ბულ იქნა. მტრის დასაყრდენი პუნქტი ავიღეთ. დავანგრიეთ 16 მიწური საცეცხლე წერტი, ხელთ ვიგდეთ დავლა და ტყვეები. მტერმა ამ ბრძოლაში დიდი ზარალი ნახა. როგორც ტყვედ წამოყვანილმა ეფრეიტორმა ჰენრიხ რაინჰანცმა აღიარა, გერმანელთა ბატალიონიდან ცოცხალი დარჩა სულ ბევრი 15 კაცი.

• • •

კალინინის ფრონტზე ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები გრძელდებოდა. ერთ-ერთ უბანზე მტრის ქვეითმა ჯარმა მოახერხა შემოჭრილიყო ჩვენს სანგრებში. ხელჩართულ ბრძოლაში ჰიტლერელთა უმრავლესობა გავჟლიტეთ. ჩვენს სანგრებთან მტერმა დასტოვა 150-ზე მეტი მოკლული ჯარისკაცი და ოფიცერი. სხვა უბანზე გერმანელებმა შემოგვიტიეს ორი ჩვენი ქვეგანაყოფის შესაყართან. ტყვიამფრქვევისა და ნაღმსატყორცნის მასირებული ცეცხლით ჰიტლერელები უკუქცეულ იქნენ. ამავე უბანზე უმცროსმა ლეიტენანტმა პოსოხინმა დაზგის ტყვიამფრქვევით გერმანელთა თვითმფრინავი ჩამოაგდო. ერთ-ერთი გერმანელი მფრინავი, რომელმაც გაქცევა სცადა, მოკლულ იქნა, მეორე წამოყვანილია ტყვედ. თვითმფრინავში აღმოჩნდა პორტფელი მნიშვნელოვანი დოკუმენტებით.

• • •

ორიოლელ პარტიზანთა რაზმმა ამხ. ე-ს ხელმძღვანელობით გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ერთი თვის ბრძოლების განმავლობაში გაჟლიტა 200-ზე მეტი გერმანელი და 350-ზე მეტი უნგრელი ჯარისკაცი და ოფიცერი. პარტიზანებმა ლიანდაგიდან გადააგდეს 10 სარკინიგზო ეშელონი, რომელთა მარცხის დროს ასობით ჰიტლერელი და დიდძალი ტექნიკა დაიღუპა. საბჭოთა პატრიოტებმა ამავე პერიოდში ხელთ იგდეს 2 ქვემეხი, 14 ნაღმსატყორცნი, 9 ხელისა და 4 დაზგის ტყვიამფრქვევი და ბევრი საომარი მასალა.

• • •

პარტიზანულმა რაზმმა ამხ. ლ-ს მეთაურობით ნაღმებით ააფეთქეს მტრის დიდი სიჩქარით მიმავალი ეშელონი. მოსპობილ იქნა 4 დახურული ვაგონი, შიგ მყოფი ცოცხალი ძალა და გერმანელი ფაშისტი ოკუპანტების საომარი ტექნიკით დატვირთული 38 პლატფორმა.

• • •

III ინტერნაციონალის სახელობის მაღარომ, რომელმაც თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა მიიღო, ივლისის 20 დღეში 11 პროცენტის გადაჭარბებით შესრულა გეგმა.

## 25 ივლისის საღამოს ცნობა

25 ივლისის განმავლობაში ჩვენი ჯარები გააფთრებულ ბრძოლებს ეწეოდნენ ვორონეჟის რაიონში, აგრეთვე ციმლიანსკაიას, ნოვოჩერკასკისა და როსტოვის რაიონებში.

ფრონტის სხვა უბნებზე არავითარი ცვლილება არ მომხდარა.

ჩვენმა გემებმა ფინეთის ყურეში ჩასძირეს მოწინააღმდეგის 16.000 ტონა საერთო წყალწყვის 2 ტრანსპორტი.

• • •

24 ივლისს ჩვენი ავიაციის ნაწილებმა ფრონტის სხვადასხვა უბანზე მოსპეს ან დააზიანეს გერმანელთა 80-მდე ტანკი, 5 ჯავშნიანი მანქანა, 400 ავტომანქანა ჯარიანად და ტვირთიანად, 16 ავტოცისტერნი საწვავი, 3 პროჟექტორი, ააფეთქეს საომარი მასალების 8 საწყობი და საწვავის ერთი საწყობი, ჩაახშეს საველე და საზენიტო არტილერიის 10 ბატარიის ცეცხლი, გაჰფანტეს და ნაწილობრივ გაჟლიტეს მოწინააღმდეგის ორ პოლკამდე ქვეითი ჯარი.

• • •

ვორონეჟის რაიონში გრძელდებოდა მედგარი ბრძოლები. საბჭოთა ჯარები გერმანელ ფაშისტთა ჯარების კონტრიერიშებს იგერიებდნენ და მთელ რიგ უბნებზე განაგრძობდნენ მოწინააღმდეგის შევიწროებას. ჰიტლერელები იძულებული არიან სასწრაფოდ გადმოიყვანონ რეზერვები ღრმა ზურგიდან. მაგალითად, ვორონეჟის რაიონში გამოჩნდა გერმანიის 383-ე ქვეითი დივიზია, რომელიც უკანასკნელ ხანამდე საფრანგეთში იყო.

ჩვენი მებრძოლები თავდადებულ გმირობას იჩენენ მტერთან ბრძოლაში, წარმატებით სპობენ მის ცოცხალ ძალასა და ტექნიკას. რამდენიმე დღის ბრძოლების განმავლობაში ამხ. დიდენკოს ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხის გუნდმა გერმანელთა 14 საშუალო და 1 მძიმე ტანკი დააზიანა. ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხის მემიზნემ ამხ. სოვიერენკომ მოწინააღმდეგის 10 ტანკი მოსპო და ერთ ოცეულამდე გერმანელი ჯარისკაცი გასწყვიტა. ამხ. მენიაილოვისა და კოსენკოვის ქვემეხების გუნდებმა მოსპეს მოწინააღმდეგის სამ-სამი ტანკი. წითელარმიელმა ამხ. მორენინოვმა ტანკსაწინააღმდეგო თოფის ცეცხლით ჩამოაგდო გერმანელთა თვითმფრინავი.

• • •

როსტოვის რაიონში ჩვენი ჯარები მძიმე ბრძოლებს ეწეოდნენ გერმანელ ფაშისტთა ჯარების წინააღმდეგ. მტერმა აქ თავი მოუყარა დიდ ძალებს და, სარგებლობს რა დიდი რიცხვობრივი სიჭარბით, განუწყვეტლივ მოაქვს იერიშები ჩვენს სიმაგრეებზე. ზოგან მან მოახერხა გაერღვია ჩვენი ზღუდეები და შემოჭრილიყო ქალაქის განაპირას. ჩვენი მებრძოლები სიცოცხლის დაუზოგავად ეწევიან ბრძოლას მოწინააღმდეგის ტანკებთან და ქვეით ჯართან. ერთი ასეული 8 საათის განმავლობაში იგერიებდა ჰიტლერელთა იერიშებს. ასეულის ჯავშანსამტვრევლებმა გერმანელთა 11 ტანკი მოსპეს. პოზიციების მისადგომებზე მტრის 600-ზე მეტი გვამი დარჩა. სხვა უბანზე 5 საბჭოთა ტანკი ბრძოლას ეწეოდა გერმანელთა 30 ტანკთან. მამაცმა ტანკისტებმა დააზიანეს და დასწვეს მოწინააღმდეგის 18 ტანკი და ბრძოლიდან მხოლოდ მაშინ გამოვიდნენ, როცა მთელი საომარი მასალა დახარჯეს.

• • •

ციმლიანსკაიას რაიონში ჩვენი მფრინავები მძიმე ლახვარს სცემენ მოწინააღმდეგის ჯარებს. ერთ-ერთ უბანზე ჩვენი ბომბდამშენი და მოიერიშე ავიაცია თავს დაესხა მოწინააღმდეგის მოტომექანიზებულ ნაწილებს და მოსპო გერმანელთა 7 ტანკი, 100 ავტომანქანა ქვეით ჯარიანად და სამხედრო ტვირთიანად, 6 ქვემეხი და 20 საზიდარი საომარი მასალა. საჰაერო ბრძოლაში ჩამოგდებულია გერმანელთა 2 და დაზიანებულია 1 თვითმფრინავი.

• • •

ბელორუს პარტიზანთა რაზმმა ამხ. ზ-ს ხელმძღვანელობით ამ უკანასკნელ ხანს დაანგრია 6 ხიდი, ააფეთქა გერმანელთა საომარი მასალით დატვირთული 7 ავტომანქანა, მოსპო მოწინააღმდეგის 60 ჯარისკაცი და 2 ოფიცერი. ამ რაზმის პარტიზანები შეუერთდნენ ლატვიელთა პარტიზანულ რაზმს, რომლის მეთაურიც არის ამხ. ს., და თავს დაესხნენ პოლიციის სამმართველოს. ამ რაზმების პარტიზანთა ერთობლივი მოქმედებით გაჟლეტილ იქნა 17 პოლიციელი, გერმანელი ოფიცერი და ბურგომისტრი, მოსპობილ იქნა ოკუპანტების 2 სამხედრო საწყობი.

• • •

გერმანელ ფაშისტთა ჯარებს უდიდესი ზარალი მოსდით სამხრეთში და ვორონეჟის რაიონში. ბევრი დივიზია, რომლებიც გერმანიის სარდლობამ საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე შემოტევისათვის მოამზადა, განადგურებულია და სისხლისაგან იცლება. ჰიტლერელები ახლა იძულებული არიან ბრძოლაში გამოიყვანონ ახალი დივიზიები, სასწრაფოდ გადმოიყვანონ ჯარები სხვა ფრონტებიდან და ღრმა ზურგიდან.

ამას მოწმობს ნადავლი დოკუმენტები. ტყვეთა ჩვენებანი და წერილები, რომლებიც მოკლულ გერმანელ ჯარისკაცებსა და ოფიცრებს აღმოაჩნდათ. მაგალითად, გერმანიის 340-ე ქვეითი დივიზიის ტყვე ლეიტენანტმა ჰანს ფიშერმა გვაცნობა: „...ჩვენი დივიზია საგარნიზონო სამსახურს ასრულებდა კალეს რაიონში (საფრანგეთი). უეცრად ბრძანება მივიღეთ, 1942 წლის ივნისის დამლევს სასწრაფოდ ჩაგვსხეს ვაგონებში და აღმოსავლეთის ფრონტზე გადმოგვიყვანეს. 340-ე დივიზია შუა ივლისიდან მონაწილეობს რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლებში“. ივნისის დამლევს საფრანგეთიდან საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე ჩამოიყვანეს აგრეთვე 370-ე, 371-ე და 377-ე ქვეითი დივიზიები, 24-ე სატანკო დივიზია და გერმანელთა სხვა შენაერთები. გერმანიის 377-ე ქვეითი დივიზიის ტყვე ჯარისკაცმა ტეოდორ კრამერმა გვიამბო: „ჩვენ უკანასკნელ ხანამდე ბეზანსონში (საფრანგეთი) ვიყავით. ყველა გაგვაკვირვა ბრძანებამ დივიზიის აღმოსავლეთში გამოგზავნის შესახებ. მაგრამ ოფიცრებმა განგვიმარტეს, გერმანიას ესაჭიროება დრო მოიგოს, ანგარიში არ გაუწიოს დასავლეთში პოზიციის დასუსტებას და ჯარები გადაიყვანოს აღმოსავლეთშიო“.

• • •

ივლისის დამდეგს ფრანგი პატრიოტები თავს დაესხნენ გერმანელთა გარნიზონს ქალ. ნიორში, დახოცეს 42 ჰიტლერელი, მთლიანად დაანგრიეს ტელეფონისა და ტელეგრაფის ხაზი. ანჟერში პატრიოტებმა ცეცხლი წაუკიდეს ფაბრიკას, რომელიც პარაშუტებსა და აეროსტატებს ამზადებს გერმანელებისათვის. ქალ. ბრესტში შეიარაღებულ ფრანგ პატრიოტთა რაზმი თავს დაესხა „სს“-ელთა ყაზარმას. რაზმმა 11 ოკუპანტი მოსპო და საბარგულებით წაიღო მთელი იქ არსებული იარაღი.

## გერმანელებს დიდი ზარალი მოსდით

**მოქმედი არმია,** 25 ივლისი (საკუთ. სპეც. კორესპონდენტისაგან). მეორე დღეა, რაც ფრონტის ერთ-ერთ უბანზე გააფთრებული ბრძოლებია. მოწინააღმდეგემ თავი მოუყარა 200-მდე ტანკს, მოტოქვეითი ჯარისა და არტილერიის მნიშვნელოვან ძალებს და ცდილობს გაარღვიოს ჩვენი თავდაცვის ხაზი და წყლის ზღუდისაკენ გამოიჭრას. მტრის ბომბდამშენი და მოიერიშე ავიაცია განუწყვეტლივ უშენს ცეცხლს საბჭოთა ნაწილების მოწინავე პოზიციებს. მტერი ზარალს არ ერიდება და ბრძოლაში სულ ახალ-ახალ ძალებს აბამს, რომლებსაც ხოცავენ ჩვენი ტანკისტები, ქვეითები და არტილერისტები. მარტო ერთ პატარა უბანზე, რომელსაც გვარდიელთა ნაწილი იცავს, ფაშისტებმა დაჰკარგეს 30 ტანკი და 500-ზე მეტი კაცი მოკლულთა სახით. გერმანელები შეხვდნენ ამ ნაწილის დამცველ მებრძოლთა რაზმს, რომელიც მათ თავდაცვის წინა კიდეზე მიიჩნიეს. ჰიტლერელთა ტანკები გაიშალნენ. სწორედ ამას მოელოდნენ ჩვენი არტილერისტები და ჯავშანსამტვრევლები. მათ მოკლე დისტანციებიდან ცეცხლი დაუშინეს გერმანელთა ტექნიკას. ქვემეხები და ტანკსაწინააღმდეგო თოფები აუცდენლად ურტყამდნენ. რამდენიმე ტანკი ცეცხლმა მოიცვა, დანარჩენი მანქანები უკუიქცნენ გამოსასვლელი პოზიციებისაკენ. გერმანელთა მიერ დღეს მოტანილი ყველა იერიში მოგერიებულ იქნა ჩვენი მებრძოლების მიერ.

ფრონტის სხვა უბანზე № ნაწილმა ბრძოლით მოახდინა დაზვერვა, რომელიც წარმატებით დამთავრდა. ამ მიზნით გაგზავნილ იქნა მსროლელი ბატალიონი, ტანკებითა და არტილერიით გაძლიერებული. მებრძოლნი გათენებისას გავიდნენ, დღის სიცხის დადგომამდე ფორსირებული მარშით გადალახეს ტრამალის გზის მნიშვნელოვანი ნაწილი და შეამჩნიეს გერმანელთა ტანკებისა და ერთ პოლკამდე ქვეითი ჯარის მოძრაობა. დასერილი ადგილი საშუალებას გვაძლევდა ფარულად მივდგომოდით მოწინააღმდეგეს. გავეშალა ქვეგანაყოფნი და თავს მოვევა ბრძოლა მტრისათვის. ჩვენმა სატანკო ქვეგანაყოფმა ამოცანა მიიღო ორ ჯგუფად განაწილებულიყო, ფლანგებიდან იერიში მიეტანა გერმანელებზე და მარწუხში მოემწყვდია მტერი. ასეთივე ამოცანა მიიღო ქვეითი ჯარის ზოგიერთმა ქვეგანაყოფმაც. რაზმის დანარჩენ ნაწილს მოწინააღმდეგეზე იერიში ფრონტიდან უნდა მიეტანა. გაჩაღდა გააფთრებული შემხვედრი ბრძოლა. მოწინააღმდეგემ თავისი ყველა საცეცხლე საშუალების ძლიერი სროლა ასტეხა. მისი ტანკები გაიშალნენ და დიდი სიჩქარით დაიძრნენ წინ. მაგრამ ბატალიონის მეთაურს გათვალისწინებული ჰქონდა ეს მანევრი. ფაშისტთა მანქანებს გრიგალისებრი საარტილერიო ცეცხლით შეხვდნენ და ფლანგებიდან მიიტანეს იერიში ჩვენმა ტანკებმა. მოწინააღმდეგე იძულებული იყო უკან დაეხია, ბრძოლის ველზე მან 20 დაზიანებული და დამწვარი ტანკი დასტოვა. საღამოსათვის ბრძოლა კვლავ გაჩაღდა. გერმანელებმა კონტრიერიშზე გადმოიყვანეს თავისი ქვეითი ჯარი, რომელსაც არტილერია და ნაღმსატყორცნები ეხმარებოდნენ. ჩვენი მებრძოლნი მტრის ქვეითს ჯარს ახლო მანძილზე მოუშვებდნენ ხოლმე და მიბრჯენ ცხრილავდნენ მას. საფრიდან მოქმედი ტანკები ზარბაზნებსა და ტყვიამფრქვევებს უშენდნენ გერმანელებს. ამ შემხვედრი ბრძოლის შედეგად ჰიტლერელებმა, დამწვარი და დაზიანებული ტანკების გარდა, ბატალიონამდე ქვეითი ჯარი დაჰკარგეს. მზვერავმა რაზმმა თავისი ამოცანა შეასრულა. წარმატებით თანამოქმედებს ჩვენს სახმელეთო ჯარებთან ავიაცია. გუშინ და დღეს ბომბდამშენთა და მოიერიშე თვითმფრინავთა დიდი ჯგუფები ანადგურებდნენ მტრის ტექნიკას, რომელიც თავმოყრის ადგილისაკენ მიემართებოდა. ამ ოპერაციების დროს მოსპობილია გერმანელთა 26 ტანკი, 78 ავტომანქანა, 2 ქვემეხი, 1 საზენიტო დანადგარი. ჩვენი თვითმფრინავების ჯგუფმა დაბომბა მტრის აეროდრომები. ამასთან მოსპობილ და დაზიანებულ იქნა ფაშისტთა 37 თვითმფრინავი. გაჩაღებულ საჰაერო ბრძოლებში ჩამოგდებულ იქნა მტრის 3 თვითმფრინავი.

**ზ. ლიპავსკი**

## ფაშისტთა მხეცობა სმოლენშჩინაში

**დასავლეთის ფრონტი,** 25 ივლისი (საკუთ. სპეც. კორესპონდენტისაგან). მას შემდეგ, რაც საბჭოთა ჯარებმა სმოლენშჩინას მთელი რიგი დასახლებული პუნქტები გაათავისუფლეს, გამოირკვა მრავალი ახალი ფაქტი, რომ ფაშისტი ოკუპანტები ველურად თარეშობდნენ და მხეცობას სჩადიოდნენ მშვიდობიანი საბჭოთა მოსახლეობისა და დაჭრილი წითელარმიელებისადმი.

სოფელ მასალოვკის განაპირაში გორებად იდგა პატარა ბავშვების, ქალებისა და მოხუცების დასახიჩრებული გვამები. ამ ადგილას მებრძოლებმა 160 გვამი დაითვალეს. ეს იყო სოფლის მთელი მოსახლეობა.

ორი ტყვე გერმანელი ჯარისკაცის დაკითხვიდან დაწვრილებით გამოირკვა საზარელი ბოროტმოქმედება. ერთ-ერთი ქეიფის დროს ფაშისტებმა მთელი მოსახლეობა გამორეკეს სოფლის გასადევარში. დამფრთხალ ბავშვებს დედებს აშორებდნენ და იქვე რიგ-რიგად ხოცავდნენ.

ხუტორ ვარგანოვოს ფარდულებში მებრძოლებმა აღმოაჩინეს 50-მდე ქალი, ბავშვი და მოხუცი. ყველა ისინი იმდენად ღონემიხდილი იყვნენ, რომ განძრევა აღარ შეეძლოთ. გამოირკვა, რომ 22 დღის წინათ ფაშისტებს ხუტორ ვარგანოვოში შეუყრიათ მეზობელი სოფლების—ივანიკისა და ხოლოპოვოს მცხოვრებნი, ფეხსაცმელი და ტანსაცმელი ჩამოურთმევიათ და ჭუჭყიან ფარდულში ჩაუკეტიათ. მთელი ამ ხნის განმავლობაში პატიმრებისათვის თითქმის არავითარი საჭმელი არ მიუციათ. უკანდახევისას ჰიტლერელებმა ტყვია დაუშინეს ფარდულს, მოჰკლეს 55 წლის პელაგია თევდორეს-ასული კარპოვა და მძიმედ დასჭრეს 11 წლის ანია კუხარევა. განთავისუფლებულებმა წითელარმიელებს უამბეს, რომ მთელი შრომისუნარიანი მოსახლეობა გერმანელებს გაურეკიათ იძულებით სამუშაოზე გერმანიაში.

გერმანელებისაგან განთავისუფლებულ სოფელ ჩუმაზოვოში აღმოჩნდა მხეცურად ნაწამები წითელარმიელების გვამები. სამედიცინო შემოწმებამ ცხადჰყო, რომ საბჭოთა მებრძოლები დახოცილან მხეცური წამების გამო.

მებრძოლებმა დაკრძალეს წამებით მოკლული 23 წითელარმიელის ნეშტი და ფიცი დასდეს სასტიკად იძიონ შური ჰიტლერელი არამზადებისადმი საბჭოთა ადამიანების სისხლის დაღვრისა და წამებისათვის.

**მ. კაპლანსკი**

## რკინისებური დისციპლინა წარმოებაში

ჩვენი ქვეყნისათვის მრისხანე განსაცდელის ჟამს საბჭოთა სამშობლოს მილიონობით პატრიოტი — თითოეული საკუთარ პოსტზე უფრო და უფრო აძლიერებს ფრონტისათვის მხარდაჭერასა და დახმარებას. ისინი განამტკიცებენ საბჭოთა ზურგს — ფრონტის დასაყრდენს.

წითელი არმიისათვის დახმარების გაწევის შემდგომი გაძლიერებისა და საბჭოთა ზურგის განმტკიცების ერთ-ერთი გადამწყვეტი პირობაა უსასტიკესი დისციპლინა შრომაში, ომიანობის დროის შესაფერისად განწყობა წარმოებაში, მტკიცე წესრიგი ყოველ საწარმოში, კოლმეურნეობასა და რკინიგზაზე.

22 წლის წინათ, როდესაც ჩვენი ქვეყანა მძიმე დღეებს განიცდიდა, ლენინი აღნიშნავდა: „პროლეტარული შრომითი დისციპლინა დაძაბვის უმაღლეს დონემდე უნდა ავიყვანოთ, და მაშინ ჩვენ უძლეველი ვიქნებით“.

რკინისებური დისციპლინა საჭიროა ზურგში ისევე, როგორც ფრონტზე. ყველა მუშაკს მოეთხოვება წარმოების მეთაურის ბრძანებათა და დავალებათა უცილობელი და ზუსტი შესრულება. როგორც საბჭოთა მეომრისათვის ფრონტზე, ისევე შრომის ფრონტის მებრძოლისათვის მეთაურის ბრძანება კანონია, რომელიც უნდა შესრულებულ იქნას ყოველ მიზეზს გარეშე, ყოველ პირობებში.

მოგეცა ბრძანება, მოგეცა საწარმოო დავალება — შეასრულე იგი ვადაზე. დაბრკოლებას, სიძნელეს წააწყდი გზაზე — მოახერხე, რომ ბოლშევიკურად დასძლიო ისინი და ზუსტად შეასრულო ბრძანება. საჭიროა მკვეთრად გადიდდეს პროდუქციის გამოშვება ან მოკლე ვადაში ახალი ნაწარმის ათვისება — გამოიჩინე ინიციატივა, საზრიანობა, გამონახე საშუალება ამის მისაღწევად. ასეთია საბჭოთა პატრიოტის ვალი.

სტახანოველები და დამკვრელები, მოწინავე საწარმოთა კოლექტივები თავდადებით შრომობენ, ვადაზე და ვადამდეც ასრულებენ ურთულეს დავალებებს. ჩვენი ფაბრიკა-ქარხნების, რკინიგზების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ყოველდღიური ცხოვრება სავსეა შრომითი მამაცობის, მაღალი დისციპლინიანობისა და თავდადებული მუშაობის მაგალითებით.

აი ერთი ასეთი მაგალითი, რომლის შესახებაც ამ დღეებში მოთხრობილი იყო „პრავდაში“.

ამხანაგმა სტალინმა სეროვის სახელობის ურალსკის ქარხნის მეტალურგებს დავალება მისცა — 20 დღეში აეთვისებინათ ბურთულა - საკისარის ფოლადის წარმოება. ამ ფოლადს ჩვეულებრივ მჟავე მარტენებში ადნობენ, ქარხანაში კი ასეთი ღუმელი ხანგრძლივ სარემონტოდ იდგა. მაგრამ დავალება უნდა შესრულდეს! ასე სთქვეს სეროველებმა. მათ გაბედული ტექნიკური გადაწყვეტილება მიიღეს და ძირითად მარტენის ღუმელში დაიწყეს სპეციალური ფოლადის დნობა. ბოლშევიკურმა შეუპოვრობამ გაიმარჯვა — დავალება შესრულებულ იქნა 5 დღეში.

ომის დროს მოწინავე საწარმოთა მუშაობის წარმატება დამყარებულია იმაზე, რომ უსასტიკესად იქნას დაცული დისციპლინა მუშათა შორის, ზუსტად და განუხრელად სრულდებოდეს ოპერატიული ბრძანებები და დავალებანი მეთაურებისა, დაწყებული დირექტორით და გათავებული ოსტატით. წარმოებაში რკინისებური დისციპლინა შრომის ნაყოფიერების გადიდების საფუძველია.

იმ საწარმოებში, სადაც ყველა ომიანობის დროის შესაფერი განწყობით მუშაობს, სადაც ზუსტად სრულდება მეთაურთა ბრძანებები, სამხედრო წარმოება სწრაფად მიდის წინ, ზუსტად იცავენ გრაფიკს, სანიმუშოდ სრულდება გეგმა მთლიანად და გადაჭარბებით.

წარმოებაში უდისციპლინობა, მოშლილობის, მოდუნებულობის გამოვლინება წინათაც შეუწყნარებელი იყო, — ომიანობის დროს ხომ იგი დანაშაულებაა, რადგან ეს აფერხებს სახელმწიფო გეგმის შესრულებას, ამცირებს სამხედრო პროდუქციის გამოშვებას, ასუსტებს წითელი არმიისადმი დახმარებასა და მხარდაჭერას. მაგალითად, რატომ ჩამორჩა ივნისში ნიჟნი ტაგილის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქრო? ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი სუსტი შრომითი დისციპლინაა. საამქროში მეთაურთა ბრძანებას ყოველთვის ზუსტად და სწრაფად როდი ასრულებდნენ. იყო გაცდენის სამარცხვინო შემთხვევები.

რკინისებური შრომითი დისციპლინის დაცვა სამეურნეო და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა შეუნელებელ ყურადღებას მოითხოვს. ქარხნის დირექტორი, პარტიული ორგანიზაციის მდივანი, პროფკავშირული ორგანიზაცია მოვალენი არიან ყოველთვის, და არა შემთხვევიდან შემთხვევამდე, იცოდნენ და ამოწმონ, თუ რა მდგომარეობაშია შრომის დისციპლინა წარმოების ყველა უბანზე, იზრუნონ მისი ყოველმხრივი განმტკიცებისათვის.

ამჟამად, გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებთან გააფთრებული ბრძოლების დღეებში ისეა საჭირო მრეწველობისა და ტრანსპორტის მუშაკთა დისციპლინიანობა და დარაზმულობა, როგორც არასოდეს არა ყოფილა წინათ. მასობრივი წარმოების პროცესში, როგორიც არის სამხედრო წარმოება, აგრეგატების, ჩარხების, უბნების მუშაობა ერთიან ნაკადს ჰქმნის. საკმარისია მარტო ერთ ადგილას დაშვებულ იქნას დისციპლინის დარღვევა, რომ მაშინვე ნელდება მთელი ნაკადი, სუსტდება საერთო რიტმი, იფუშება საუკეთესო სტახანოველთა მეცადინეობა. გაცდენა, ცუღლუტობა, დაუდევრობა, წარმოების მეთაურის ბრძანების შეუსრულებლობა დანაშაულია სამშობლოს წინაშე.

ყველა საწარმოში დღითი დღე უნდა სწარმოებდეს შეუპოვარი, დაუნდობელი ბრძოლა რკინისებური დისციპლინისაგან სულ მცირე გადახვევასთან. ახლა ისეთი დრო არ არის, რომ გვერდი ავუაროთ წარმოებაში წესრიგის დარღვევას, როგორც აქა-იქ სჩადიან ცალკეული ლიბერალი, ზომაზე მეტად „გულკეთილი“ ადმინისტრატორები. ჩვენს საწარმოებში სამეურნეო მუშაკებს ფართო უფლებები აქვთ მინიჭებული, რათა იბრძოლონ სასტიკი დისციპლინისათვის წარმოებაში. ეს უფლებები ბასრი იარაღია ადმინისტრატორთა ხელში. და ეს იარაღი სავსებით უნდა იქნას გამოყენებული გამცდენთა, ცუღლუტთა, წარმოების დეზორგანიზატორთა წინააღმდეგ, რომელნიც აქა-იქ მოიპოვებიან.

ამჟამად საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს აღმზრდელობითს მუშაობას მუშაკთა მთელ მასაში. საწარმოებს განუწყვეტელ ნაკადად ემატება ახალი კადრები, ჩარხებსა და მანქანებთან მოდიან ადამიანები, რომელნიც თავიანთ სიცოცხლეში პირველად არიან წარმოებაში. ჩაუნერგონ მათ შრომისადმი სოციალისტური დამოკიდებულება, პატივისცემა სასტიკი წესრიგისადმი წარმოებაში, ჩაუნერგონ საწარმოო დისციპლინის გრძნობა — ასეთია პარტიულ, კომკავშირულ და პროფკავშირულ ორგანიზაციათა ვალი. როგორც კი მოვლენ ქარხანაში ეს ახალი ადამიანები, მაშინვე უნდა შევაჩვიოთ იმას, რომ წარმოების მეთაურის ბრძანება კანონია, რომელსაც არ უნდა გადაუხვიონ.

აქ არ შეიძლება დავკმაყოფილდეთ მარტო საუბრის გამართვას, მარტო იმის ახსნა-განმარტებას, რომ საჭიროა დისციპლინა. სისტემატურად უნდა აღვზარდოთ ადამიანები პრაქტიკული ცხოვრების მაგალითებით. წარმოებაში უნდა შევქმნათ შრომის დისციპლინის დარღვევისადმი შეუწყნარებელი დამოკიდებულების ატმოსფერო. უნდა ვამხილოთ, გამოვააშკარაოთ ყველა, ვინც თავისი ყოფაქცევით, ნებსით თუ უნებლიეთ, მფარველობას უწევს წარმოებაში წესრიგის დამრღვევთ.

ამჟამად საბჭოთა ხალხი მთელ თავის ძალ-ღონეს ძაბავს იმისათვის, რომ უკუაგდოს ჰიტლერელი დამპყრობნი.. „რომ გავიმარჯვოთ, ამისათვის საჭიროა უდიდესი ბრძოლა, საჭიროა რკინისებური, სამხედრო დისციპლინა“. (ლენინი).

კიდევ უფრო გავაძლიეროთ რკინისებური დისციპლინა მრეწველობაში და ტრანსპორტზე! უფრო მეტი დახმარება ფრონტს!

„პრავდა“, 24/VII.

სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება

## ორგანიზებულად ავიღოთ უხვი სამხედრო მოსავალი

### გეგმის შესრულება

ქარელის რაიონმა გაზაფხულის გამოკვების აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმა გადამეტებით შესრულა.

საქ. კ. პ. (ბ) ქარელის რაიკომის მდივანი **დევიძე**
რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **მიქაძე**

### გამოვასწოროთ ჩამორჩენა მოსავლის აღებაში

**გორი** („კომუნისტის“ კორ.). 25 ივლისს საქ. კ. პ. (ბ) გორის რაიკომში ჩატარდა სოფლად მიმაგრებული პასუხისმგებელი მუშაკების თათბირი მოსავლის აღებისა და სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარების მიმდინარეობაზე. ამ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) გორის რაიკომის მდივანი ამხ. გ. მიხანაშვილი.

გამოირკვა, რომ მთელი რიგი კოლმეურნეობები დროულად იღებენ მოსავალს და პირველ განალეწ პურს სახელმწიფოს აბარებენ.

მაგრამ მოსავლის აღების მხრივ ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა ზოგიერთ კოლმეურნეობაში. ქვემო-ახალსოფლის კოლმეურნეობაში მთელი შრომისუნარიანი მუშახელი გამოყენებული არ არის მოსავლის აღებაზე. ნაკლები ყურადღება ექცევა დანაკარგების წინააღმდეგ ბრძოლას. ახლად მომკილ პურის ყანაში დარჩენილ თავთავებს საქონელი ანადგურებს. მსგავს მდგომარეობას ვხვდებით სოფ. შავშვების, ახალდაბის, ვარიანის, უფლისციხის კოლმეურნეობებში.

გორისა და შინდისის მტს-ების ზოგიერთი კომბაინი სრული ნაყოფიერებით არ მუშაობს. შინდისის მტს-ის № 7 კომბაინი, რომელიც ქვემოხვითის კოლმეურნეობის ნაკვეთზე მუშაობდა, 15 ივლისიდან დგას ნაწილების დაზიანების გამო.

თათბირზე სიტყვით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ვ. ბუჯიაშვილი, რომელმაც გააკრიტიკა ცალკეულ კოლმეურნეობათა ცუდი მუშაობა მოსავლის აღების საქმეში და გაამახვილა ყურადღება სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების გეგმების დროულად და მთლიანად შესრულების საჭიროებაზე. ამხ. ბუჯიაშვილმა ამოცანად დასახა უახლოეს დღეებში ნაკლოვანებათა სასწრაფოდ გამოსწორება და განაცხადა, რომ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება 1942 წელს მოსავლის აღებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთა დამზადების შესახებ გაშლილ საბრძოლო პროგრამას წარმოადგენს, და ყველაფერი უნდა გავაკეთოთ მისი განუხრელად განხორციელებისათვის.

**შ. ჩუბინიძე**

### მოსავალი ავიღოთ უკანასკნელ თავთავამდე

**ყარაია** („კომუნისტის“ სპეც. კორ.). ყარაიის რაიონში 22 კოლმეურნეობიდან 17-მა მოსავლის აღება უკვე დაამთავრა. განსაკუთრებით ისახელეს თავი სოფ. თაზაკენტის კოლმეურნეობა „სოციალიზმმა“ და სოფელ გრუნტალის ოქტომბრის რევოლუციის 15 წლისთავის სახელობის კოლმეურნეობამ. თაზაკენტის კოლმეურნეობამ მთელი მოსავალი 10 ხამუშაო დღეში ხელით აიღო. გრუნტალის კოლმეურნეობამ მოსავალი დროზე და უდანაკარგოდ დააბინავა.

მტს-ის ექვსი კომბაინი და ხუთი თვითმკვრელი განუწყვეტლივ მუშაობენ, კომბაინერები ჩხიკვაძე და შულგინი ნორმებს ორმაგად და ზოგჯერ მეტადაც ასრულებენ.

რაიონის კოლმეურნეობათა ნახევარმა დაიწყო სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარება. ლენინის სახელობის, სტალინის სახელობის, მოლოტოვის სახელობის, კიროვის სახელობის, ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობებმა სახელმწიფოს ჩააბარეს 2.000 ცენტნერი მარცვალი.

რაიონში ადგილი აქვს ჩამორჩენასაც. ლეწვა მხოლოდ ხუთ კოლმეურნეობაში დაიწყეს. გარდა კომბაინით აღებულისა, რაიონში გალეწილია აღებული მოსავლის მხოლოდ ათი პროცენტი. სოფ. ვასილევკის კოლმეურნეობაში, სადაც ასაღებია 15 ჰექტარი, მუშახელი მთლიანად არ გამოჰყავთ და თვითმკვრელიც ხუთი დღე მოაცდინეს.

ბევრია მარცვლის დანაკარგები ნოვოულიანოვკის კოლმეურნეობა „ისკრაში“. კომბაინით აღებულ 74 ჰექტარზე თავთავები არ შეაგროვეს და ფართობში საქონელი შეუშვეს. მოსავლის უდანაკარგოდ აღებას მეტი ყურადღება უნდა მიექცეს.

**ტრ. თოდრაძე**

### კოლმეურნე ხაჯერ გორგილაძის ახალი ნარმატება

ბათუმის რაიონის სოფ. ურეხის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის წარჩინებულმა კოლმეურნემ, საკ. კ. პ. (ბ) წევრმა ხაჯერ გორგილაძემ 22 ივლისს 2.795 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი მოჰკრიფა და 300 შრომადღე გამოიმუშავა. ამ დღეს გამომუშავებული 2.250 მანეთი მან ჩვენი ქვეყნის თავდაცვის სახალხო ფონდში შეიტანა.

სოფ. ურეხის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე **ვარშანიძე**
პირველადი პარტორგანიზაციის მდივანი **გვაგავა**

### სამგზავრო ვაგონების შემკეთებელი საამქროს მოწინავე ბრიგადა

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის სამგზავრო ვაგონების შემკეთებელ საამქროში ბრიგადა, რომელსაც კომუნისტი ამხ. მიხეილ პაპინაშვილი ხელმძღვანელობს, გადაჭარბებით ასრულებს საკავშირო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს. ივნისის გეგმა ბრიგადამ 250 პროცენტით შესრულა. შრომის დისციპლინის განმტკიცებით, შინარესურსებისა და სტახანოვური მეთოდების გამოყენებით ივლისში ბრიგადამ უკეთეს მაჩვენებლებს მიაღწია.

ბრიგადამ თვიური გეგმა ივლისის პირველი ორი დეკადის განმავლობაში შესრულა. მესამე დეკადაში კი აგვისტოს პროგრამის ანგარიშში მუშაობს. აქედან ბრიგადამ 3 სამგზავრო ვაგონი უკვე შეაკეთა და ჩააბარა. ამჟამად ბრიგადა 2 ვაგონის შეკეთებაზე მუშაობს.

ამხ. პაპინაშვილის ბრიგადა ფართოდ იყენებს შინარესურსებს. გამოუსადეგარი, გადაგდებული საკისარებიდან ამოარჩიეს, დაახარისხეს და შეაკეთეს საკისარების საკმაო რაოდენობა, რაც ბრიგადას საშუალებას აძლევს ყოველდღე შეუფერხებლად იმუშაოს.

ორ-სამ ნორმას იძლევიან ყოველდღიურად ამავე საამქროს ბრიგადები, რომლებსაც ამხ. ა. მარჯანიძე, ი. იანშინი, გ. გოგიაშვილი, გრიცაკოვი ხელმძღვანელობენ.

### მეტი და მაღალხარისხოვნად შეკეთებული ვაგონი

ლ. პ. ბერიას სახელობის ამიერ-კავკასიის რკინიგზის მეოთხე სავაგონო უბანი (უფროსი ამხ. ა. შავიძე) ივლისის პირველსა და მეორე დეკადაში გზის სავაგონო უბნებს შორის მესამე ადგილზე იყო. უბნის კოლექტივი იბრძვის პირველობისათვის. ამ ბრძოლაში თავდადებულობის მაგალითს იძლევიან უბნის სტახანოველები და მოწინავე ადამიანები.

ვაგონების ახსნითი შეკეთების საამქროს ოსტატის ა. პუტუკევიჩის საოსტატო 32 კაცს აერთიანებს. პუტუკევიჩის საოსტატო მთელი თვეების მანძილზე უბანში პირველ ადგილზე დგას და დიდი გადაჭარბებით ასრულებს დავალებას. ივნისში საოსტატომ 126,6 პროცენტით შესრულა გეგმა, ხოლო ივლისის ორ დეკადაში გეგმით გათვალისწინებული 26 ვაგონის ნაცვლად 28 ვაგონი შეაკეთა. პუტუკევიჩის საოსტატოს მოწინავე ადამიანები კომუნისტი ამხ. ს. ნაფეტვარიძე ყოველდღიურად სამ-სამნახევარ ნორმას ასრულებს, კომკავშირელი ამხ. გ. კვახაძე 250 პროცენტით ასრულებს გეგმას. ორ-სამ ნორმას იძლევიან ყოველდღიურად ამხ. ა. გაბრელაშვილი, ბ. კოტოიანცი და სხვ.

— მივცეთ სამშობლოს, ფრონტს მეტი და მაღალხარისხოვნად შეკეთებული ვაგონი—ამ ლოზუნგით იბრძვიან უბნის სტახანოველები საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველობის მოპოვებისათვის.

**ი. სოფრომაძე**

### წითელი არმიის პურის ფონდისათვის

**პენზა,** 25 ივლისი (საკუთ.). ოლქის კოლმეურნენი შეუდგნენ წითელი არმიის პურის ფონდისათვის მარცვლეულის ვადამდე ჩაბარებას. ნიჟნი ლომოვის რაიონის 5 კოლმეურნეობამ მოიტანა შარშანდელი მოსავლის 810 ფუთი პური. რაიონში სასოფლო-სამეურნეო არტელ „ზა ნოვი ბიტის“ კოლმეურნეებმა პირველებმა მოიტანეს დამამზადებელ პუნქტში 240 ფუთი მარცვლეული. წითელი არმიის პურის ფონდისათვის მარცვლეულს ვადამდე აბარებენ აგრეთვე კამენკის, ტამალის, სოსედკისა და სხვა რაიონების კოლმეურნეობები.

## გაველურებული მეძებარი ძაღლები

**ჩრდილოეთ-დასავლეთის ფრონტი,** 25 ივლისი. (საკუთ. სპეც. კორესპონდენტისაგან). დოქტორმა და გაიძვერამ იოახიმ ფიშერმა „ფელდ ცაიტუნგის“ ფურცლებზე წერილი გამოაცხო გერმანიის არმიაში ობერ-ეფრეიტორების როლის შესახებ. გაზეთი „ფელდ ცაიტუნგი“—გერმანიის პროპაგანდის სამინისტროს ორგანო — სპეციალურად გამოდის აღმოსავლეთის ფრონტის ჯარისკაცებისათვის და ჰიტლერელთა ხროვის ოფიციალურ დანასახებს გამოხატავს.

იგი დაუჯერებელი ცინიზმით აღვივებს და აქეზებს ეფრეიტორისფორმიან ქერა მხეცების საზიზღარ ქვენა გრძნობებს. დოქტორი ფიშერი სწორედ ასე სწერს: „ბატონმა ობერ-ეფრეიტორებმა უფლება დაიმსახურეს ტირანები იყვნენ არმიაში. ისინი არმიის ღერძს წარმოადგენენ, ისინი მის სულისკვეთებას ჰქმნიან“. შემდეგ: „მათ გაველურებული მეძებარი ძაღლების ალღო აქვთ და უკანასკნელ ქათამს, უკანასკნელ კვერცხსა და საუკეთესო თაფლს პოულობენ კოლმეურნეებთან. ისინი მოხერხებული არიან, საკმაოა თვალი უყოთ, რომ თუნდაც მიწაში ამოაძვრინონ საჭმელი“. ეს გაველურებული ძაღლები ჰიტლერმა აუშვა და ჩვენს ქვეყანაში გამორეკა. ისინი აქ ისე მოქმედებენ, როგორც მათი ბატონები ასწავლიან. ობერ-ეფრეიტორი ემილ ჰამპრეხტი პოეტ ჰაინეს არ იცნობს, სამაგიეროდ დოქტორ ფიშერის ნაჯღაბნი შენახული აქვს. ჭუჭყიანი თითებით ქსვერილ-დაჭმუჭნული გაზეთის ამონაჭერი არაერთხელ გადაუბეჭდავთ და უსწავლიათ გერმანელთა სანგრებში.

ობერ-ეფრეიტორი ტყვედ წამოიყვანეს ღრმა ზურგიდან ჩვენმა მზვერავებმა. იგი ზედამხედველი იყო ძალობით კოლმეურნეთა, რომლებიც ჯარის ნაწილისათვის თივის ასაღებად გარეკეს. მზვერავებმა მტარვალი იმ მომენტში შეიპყრეს, როცა იგი შეურაცხყოფას აყენებდა კოლმეურნე ქალიშვილს. ახლა იგი ჩუმად ზის საბჭოთა მეთაურის წინაშე. მას შიშით ენა ებორკება და ჩქარჩქარა ლაპარაკით ცდილობს თავი გაიმართლოს:

„მთელი ომის განმავლობაში გლეხებს ჩამოვართვი მხოლოდ ერთი ქათამი და ერთი კილოგრამი თაფლი“.

მაგრამ ობერ-ეფრეიტორი სტყუის. მას ვერ მოუსწრია მოესპო თავისი დოკუმენტები, რომლებიც მას ამხილებენ. გაზეთის ამონაჭერთან ერთად ჯიბეში აქვს მოწმობა—ჰამპრეხტს სრული უფლება ენიჭება ორ სოფელზე, უფლება ენიჭება „თავისი მიხედულობით გამოიყენოს ყოველგვარი ღონისძიება მოსახლეობის მიმართ“. ეს არის ძარცვის, ძალმომრეობის, გაჯოხვის და სამუშაოზე გარეკვის უფლება. და გაველურებული მეძებარი ძაღლი ფართოდ სარგებლობდა თავისი უფლებებით. ობერ-ეფრეიტორის საფულეში აღმოჩნდა ხელწერილების ასლები, რომლებიც მას მიუცია კოლმეურნეებისათვის.

„გადახდილია ნახევარი ძროხისათვის 10 მარკა“—ეს 5 მანეთია!

დაკითხვაზე გველხოკერასავით იკლაკნება ობერ-ეფრეიტორი ჰამპრეხტი. როცა სამხილთა გამო მეტი გზა არა აქვს, იგი იძულებულია აღიაროს:

„ჩემს სოფლებში ცოტას ვჯოხავდით გლეხებს, ხოლო ზოგიერთს ვაპატიმრებდით სამუშაოზე უარის თქმის გამო“.

იგი სწორედ ასე ამბობს „ჩემს სოფლებშიო“. ისე ამბობს, თითქოს მონათმფლობელი ან მებატონე იყოს. მებატონეს კი, მათრახის გარდა, ხალხთან შეუძლია გამოიყენოს მხოლოდ მაგარი, უშვერი გინება.

ამ თვისებას სიამოვნებით აღნიშნავს დოქტორი ფიშერი: „ბატონ ობერ-ეფრეიტორებს შეუძლიათ ისე იგინებოდნენ, რომ ხეს ფოთლები სცვივოდეს“.

ჰამპრეხტი თუმცა გამოტყდა, რომ გლეხებს სჯოხავდა, მაგრამ ცდილობს შთაბეჭდილება შეანელოს. ჩვენ ყველას კი არ ვჯოხავდით, არამედ „ვისაც ბრალი მიუძღოდაო“, ხოლო ვინც მუშაობს, იმას ფულიც კი ეძლევაო. რამდენი ეძლევათ? ეძლევათ სხვადასხვანაირად: 20 წელზე მეტი ხნის მამაკაცებს ეძლევათ უმაღლესი საზღაური 20 პფენიგი, — 10 კაპიკი საათში, ქალებს 7 კაპიკი, მოზარდებს კი თითო კაპიკი საათში!

მებრძოლო, დაიხსომე ყოველივე ეს! ჩვენ კარგი მეხსიერება გვაქვს. მზვერავებმა შერცხვენისაგან გადაარჩინეს კოლმეურნე ქალიშვილი, რომლის გაუპატიურებას ცდილობდა ეფრეიტორის ფორმიანი მტარვალი. გაველურებული ძაღლი ტყვედ მოიყვანეს, მაგრამ გაბურძგნული და ჭუჭყიანი მეძებარი ძაღლების ხროვები ჯერ კიდევ დაძრწიან ჩვენს ქვეყანაში. უნდა გავჟლიტოთ ისინი უკლებლივ. ამას ჩვენ შევასრულებთ, მერმე კი იმათაც მივწვდებით, ვინც მეძებარ ეფრეიტორებს აქეზებს. დადგება დრო, როცა ჩვენ გავიხსენებთ დოქტორ ფიშერის სტატიას, კოლმეურნის ნახევარი ძროხისათვის გადახდილ 5 მანეთის ხელწერილს და ბავშვთა შრომას, რაშიც ერთ კაპიკს აძლევენ საათში. მათ ჯერ კიდევ არ აუნაზღაურებიათ ეს ხელწერილები. მათ ძვირად დაუჯდებათ ისინი!

**ი. კოროლკოვი**

# სახელი და დიდება მამაც წითელფლოტელებს!



№ სამხედრო გემის ეკიპაჟი (მარცხნიდან): II რანგის კაპიტანი მ. ზ. ჭინჭარაძე, III რანგის კაპიტანი მ. კ. პეტროსიანი, პოლიტხელი ა. კ. გორსკი, II სტატიის ზემდეგი ე. ა. კისელიოვი. ფოტო ჯეირანოვისა.

## წითელფლოტელთა გმირული ბრძოლების ეპიზოდები

### უთანასწორო ბრძოლა

სატორპედო კატერი, რომელსაც ლეიტენანტი კროლი მეთაურობს, საბრძოლო ბრძანების შესასრულებლად გაემართა. კატერმა ბრძოლა გაუმართა მტრის სანაპიროზე შენიღბულ ორ საცეცხლე წერტს. ხანმოკლე ბრძოლა საბჭოთა მეზღვაურების გამარჯვებით დამთავრდა. ბაზაში დაბრუნებისას ამ პატარა საბრძოლო გემს თავს დაესხა ფაშისტთა რვა მოპიკირე ბომბდამშენი.

გაჩაღდა უთანასწორო ბრძოლა პატარა კატერსა და ფაშისტური სვავების მთელ ესკადრილიას შორის. მამაცი საბჭოთა წითელფლოტელები არ შეუშინდნენ საფრთხეს და განსაცვიფრებელი გულადობით ჩაებნენ ბრძოლაში.

ბრძოლის პირველსავე წუთებში მეტყვიამფრქვეველმა ამხ. ოსიპოვმა ჩამოაგდო მტრის ერთი ბომბდამშენი. მესაჭე ამხ. კლეპინი ოსტატური მანევრირებით მართავდა კატერს და გამოჰყავდა იგი ბომბდამშენთა მოქმედების ზონიდან. მტერმა დახარჯა ბომბების მთელი მარაგი, მაგრამ კატერს ოდნავი ზარალიც ვერ მიაყენა.

რამდენიმე ხნის შემდეგ პირველ თავდასხმას მეორე მოჰყვა. ამჯერად ერთი, მუქა საბჭოთა მეზღვაურების წინააღმდეგ 18 მოპიკირე ბომბდამშენი მოქმედებდა. ბომბების აფეთქებისაგან კატერის ირგვლივ გაჩენილი უზარმაზარი ტალღები პატარა გემს ნაფოტივით აქეთ-იქით ისროდა. მტრის თვითმფრინავები მცველავ ფრენაზე გადავიდნენ და საბჭოთა მეზღვაურებს ტყვიამფრქვევების სროლა აუტეხეს.

კატერი ნაწილობრივ დაზიანდა, მაგრამ გრიგალისებური ცეცხლის ქვეშ მეზღვაურებმა შეაკეთეს გემი და სრული სვლით გაემართნენ თავიანთი ბაზისაკენ.

წითელდროშოვანი ბალტიის ფლოტის მეზღვაურებმა კატერი ბაზაში მიიყვანეს. პირად შემადგენლობაში არავინ დაზარალებულა.

ამ უმაგალითო ბრძოლაში, რომლის დროს ფაშისტებმა საბჭოთა კატერს 200-მდე ბომბი დააყარეს, ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს სახელოვანმა ბალტიელებმა.

### კონსტანცის განადგურება

ფაშისტების მიერ სევასტოპოლის ქურდული მიპარვით დაბომბვის საპასუხოდ შავი ზღვის სამხედრო ფლოტი ომის პირველივე დღეებში თავს დაესხა გერმანელ-რუმინელთა სამხედრო-საზღვაო ბაზას შავ ზღვაზე — კონსტანცას.

რუმინელები დარწმუნებული იყვნენ, რომ კონსტანცა მიუვალია, რადგან მას იცავდა მძლავრი სანაპირო ბატარიები, სამხედრო გემები და ავიაცია.

მაგრამ შავზღვლელნი უშიშრად ეკვეთნენ მტერს. საბჭოთა ესკადრის გემების მძლავრმა არტილერიამ შორი მანძილიდან გააჩაღა მსუსრავი გრიგალისებური ცეცხლი. სულ მალე ბაზა ცეცხლში გახვეია. თავდასხმა იმდენად მოულოდნელი და ეფექტური იყო, რომ ფაშისტები დიდხანს ვერ მოვიდნენ გონს. რამდენიმე ხნის შემდეგ ბატარიებმა სროლა აუტეხეს საბჭოთა გემებს, მაგრამ უშედეგოდ. ფაშისტთა ნაღმოსნებმა კი ვერ გაბედეს ბრძოლაში ჩაბმა.

უკან დაბრუნებისას საბჭოთა გემებს თავს დაესხა მტრის ბომბდამშენების რამდენიმე ჯგუფი. წითელფლოტელები მამაცურად შეხვდნენ მტრის ავიაციას. მეზენიტეები პერელმანი, ნაუმოვი, ბორისოვი და სხვ. ზუსტი გადამღობი ცეცხლით იგერიებდნენ ფაშისტურ სვავებს.

ბრძოლის მონაწილე გემებს საბჭოთა ნაპირებთან რამდენიმე ტორპედო ესროლა მტრის წყალქვეშა ნავმა. სწრაფი მანევრირებით გემებმა აიცდინეს საფრთხე, შემდეგ კი სიღრმის ბომბებით ბოლო მოუღეს ფაშისტ წყალქვეშელებს.

საბჭოთა მეზღვაურებმა სასახელოდ შეასრულეს დედა-სამშობლოს ბრძანება: კონსტანცამ გამანადგურებელი ცეცხლი იგემა.

### ოთხი გასროლა

ჩრდილოეთის ფლოტის წყალქვეშელებს ასეთი ტრადიცია აქვთ: ხანგრძლივი ლაშქრობიდან დაბრუნებულ წყალქვეშა ნავს ხვდებიან ჩამწკრივებულნი და პატივცემით, ხოლო ნავი ბაზასთან მოახლოებისას იმდენჯერ გაისვრის ზარბაზანს, რამდენიც მტრის გემი ჩასძირა მან.

ერთ-ერთი ნავის შესახვედრად ჩამწკრივებულ საბჭოთა მეზღვაურებს მოესმათ ზედიზედ ოთხი გასროლა.

ეს ტრიუმფი იყო. ერთი ლაშქრობისას ფაშისტთა ოთხი გემის მოსპობა ბრწყინვალე წარმატება იყო.

წყალქვეშა ნავიდან გადმოსულ მამაც საბჭოთა მეზღვაურებს ამხანაგებმა სთხოვეს ეამბნათ ამ დიდი გამარჯვების შესახებ.

— რა უნდა გიამბოთ განსაკუთრებული,— სთქვა ნავის მეთაურმა.—პირველი ტრანსპორტი, რომელსაც სამხედრო გემები ბადრაგობდნენ, ჩავძირეთ კუნძულ 6-თან. რამდენიმე დღის შემდეგ კვლავ დიდი ტრანსპორტი ჩავაყურყუმალეთ. მას ჯარი გადმოჰყავდა. 6 დღის შემდეგ პირველივე ტორპედოთი მესამე გემი ავაფეთქეთ. უკან დაბრუნებისას კი მეოთხე ვიგდეთ ხელში და საბოლოო ანგარიში გავუსწორეთ.

სახელოვანმა საბჭოთა მეზღვაურმა ასე მოკლედ, უბრალოდ უამბო ამხანაგებს ბრწყინვალე გამარჯვების შესახებ.

**ლ. ხ.**

## ჩვენი წითელფლოტელები

ფრიცებს და ჰანსებს სასტიკად ეშინიათ ჩვენი წითელფლოტელებისა. აქვთ ფრიცებს ამის საფუძველი. სადაც კი არგუნა მათ უბედობამ წითელფლოტელებთან შეხვედრა, ვერსად გაიხარეს, ყველგან სასტიკად დამარცხდნენ. ზღვაშიაც, ხმელეთზეაც, ჰაერშიაც ფრიცები ვერ უძლებენ წითელფლოტელების მიძალებას. უშიშარნი, სიკვდილის არარად მიმჩნევნი, ლენინ-სტალინის დიადი საქმის ერთგულნი, საბჭოთა ქვეყნის სასახელო შვილები არიან ჩვენი წითელფლოტელები.

ხომალდის სამეურნეო ჟურნალის ფურცლებზე აღბეჭდილია მათი გმირული საბრძოლო ეპიზოდები:

საბჭოთა ესკადრა მოულოდნელად დაატყდა თავს ჰიტლერელთა განლაგებას. ერთ-ერთი დიდი შეჯავშნული ხომალდი უშუალოდ მიუახლოვდა მტრის ბანაკს და საშინელი ცეცხლი დაატეხა თავს ოკუპანტების ურდოს. წითელფლოტელი ამხ. ი. პეტროვი მსხვილყალიბიან ტყვიამფრქვევს უშენდა ბუნაგიდან ამოვარდნილ ჰიტლერელ კაციჭამიებს და ჯგუფ-ჯგუფად ულეტდა მათ. ჰიტლერელებს მათი ნაწილები მიეშველნენ და ხომალდს სროლა აუტეხეს. ბრძოლის ორომტრიალში მეტყვიამფრქვევე წითელფლოტელ პეტროვთან ნაღმი გასკდა. უფროსმა დაინახა, რომ ნაღმმა პეტროვს მარცხენა მკლავი მოჰგლიჯა, მაგრამ პეტროვი მაინც ტყვიამფრქვევთან იდგა და სროლას განაგრძობდა.



ამხ. ა. მ. გუშჩინი

— „ნაღმი რომ მომხვდა და მკლავი მთლიანად მომგლიჯა,—ამბობს ახლა ამხ. პეტროვი,—ეს ის მომენტი იყო, როდესაც მტერი წინა პოზიციებიდან უკან გარბოდა. ჩემი ტყვიამფრქვევი ყველაზე მოხერხებულად იდგა. ჰიტლერელები ჯგუფ-ჯგუფად ამოდიოდნენ ბლინდაჟიდან. მე მათ ჯგუფ-ჯგუფადვე ვსპობდი და სწორედ ამ დროს მიღალატა ცალმა ხელმა... დავიხედე, მკლავი სრულიად არა მაქვს. დალახვროს ეშმაკმა! ტკივილს არ ვგრძნობდი და ტყვიამფრქვევის სროლა ცალი ხელით განვაგრძე. სანიტარმა ჰრილობა ისე შემიხვია, რომ სროლა არ შემიჩერებია. როცა ფრიცების ამოჟლეტით გული ვიჯერე და შემცვლელიც მოვიდა, მაშინ წავედი ექიმთან"...

კომკავშირელი წითელფლოტელი ი. ლიპოვოი საბრძოლო პოსტზე დაიჭრა. უფროსმა მას ნება დართო დაეტოვებინა პოსტი და საექიმო პუნქტზე წასულიყო. ამხ. ლიპოვოი არ წავიდა. იგი კვლავ თავის პოსტზე იდგა და ბრძოლას განაგრძობდა...

მრავალჯერ დასხმიან თავს ჰიტლერელი სვავები № გვარდიულ ხომალდს. მრავალი ბომბი გადმოუყრიათ მათ ხომალდის ჩასაძირავად, მაგრამ ვერასოდეს ვერ მიაღწიეს ჰიტლერელებმა წარმატებას. ხომალდი მაინც დაცურავს, ხომალდი ერთი წუთითაც არ გამოსულა მოქმედი ფლოტის რიგებიდან. სახომალდო ჟურნალში ჩაწერილია: „მიუხედავად რთული საბრძოლო პირობებისა... (დასახელებულია ბრძოლის ადგილი და დრო), ხომალდის მექანიზმები, რომელთაც ქვეგანაყოფის მეთაური, მეორე რანგის ინჟინერ-კაპიტანი ვ. კუპეცი განაგებს, შეუფერხებლივ მუშაობდნენ. ყოველგვარ საბრძოლო ვითარებაში ამხ. გ. კუპეცი მტკიცედ იდგა თავის პოსტზე და დაუყოვნებლივ ღებულობდა ზომებს, რათა ხომალდის მექანიზმები მწყობრიდან არ გამოსულიყვნენ".

„ჰიტლერელთა ყუმბარა გასკდა ერთ-ერთი კოშკურის მახლობლად, — ჩაწერილია იმავე ჟურნალში. — იფეთქა ხანძარმა, რომელიც სწრაფად ვრცელდებოდა კოშკურისაკენ, ხოლო კოშკურაში ყუმბარები იყო თავმოყრილი. აქედან ცეცხლი უშუალოდ გადავიდოდა საბრძოლო მასალათა სარდაფში და მოხდებოდა მტრის გულის გასახარელი კატასტროფა... ინჟინერ-კაპიტანმა ამხ. გ. კუპეცმა ითავა ხანძრის ჩაქრობა. საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად მას დაეხმარნენ წითელფლოტელები: ათეულის მეთაური კრიპაკი, მეორე სტატიის ზემდეგი სმირნოვი და სხვ. გმირი წითელფლოტელების თავდადებამ ფუჭად არ ჩაიარა. ხანძარი დროზე ჩააქრეს და ხომალდმა თავიდან აიცილა მოსალოდნელი უბედურება. ხანძართან ბრძოლის წუთებში ხომალდი განაგრძობდა ბრძოლას, ცეცხლი წუთითაც არ შეწყვეტილა მისი ბაქნიდან..."

იმ დღეს, როცა გემს თავს დაესხნენ ფაშისტთა ესკადრილიები და სანაპიროდან სროლა აუტეხეს ჰიტლერელთა ბატარიებმა,... „მშვიდად და დინჯად მუშაობდა თავის პოსტზე შტურმანი უფროსი ლეიტენანტი ნ. ელისეენკო. თავისი საქმის ღრმად ცოდნითა და გამოცდილებით მან უზრუნველჰყო გემის ისეთი მანევრირება, რომ მტერმა ვერ შესძლო მისთვის ვერც ერთი ყუმბარის მორტყმა. ოსტატური სიზუსტით ურტყამდა მტრის განლაგებას საბაქნო არტილერია, რომელსაც უშიშარი ვ. კოროვკინი მეთაურობს. კოროვკინის ქვეგანაყოფებს ზედიზედ გამოჰყავდათ მწყობრიდან ჰიტლერელთა ბატარიები, და თანდათან სუსტდებოდა ნაპირიდან გემისათვის დაშენილი ცეცხლი. ფაშისტთა თვითმფრინავებს კი ამასობაში ანგარიშს უსწორებდა საბაქნო საზენიტო არტილერია. გმირობის, გამბედაობისა და მოსაზრებულობის მაგალითები უჩვენა ამ დღეს ეკიპაჟს მეზენიტეთა მეთაურმა უფროსმა ლეიტენანტმა ამხ. ს. კნიშმა. საზენიტო ქვემეხთა ცეცხლს ვერ ასცდნენ ჰიტლერელი სვავები, რომლებიც იძულებულნი გახდნენ გაქცეულიყვნენ"...

ამ უთანასწორო ბრძოლაში წითელფლოტელებმა გაიმარჯვეს. ჩააჩუმეს მათ ოკუპანტთა ბატარიები, ჩამოჰყარეს და ზღვის ფსკერში ჩაუშვეს ჰიტლერელთა თვითმფრინავები, მიანგრ-მოანგრიეს მტრის სიმაგრეები, გამარჯვების ნიშნად გემის ანძაზე საზეიმო დროშა აღმართეს და უვნებელნი უკან დაბრუნდნენ.

სქელტომიან სახომალდო ჟურნალებში მრავალ წითელფლოტელთა საგმირო ამბებია ჩაწერილი. მომავალი თაობა ინტერესით წაიკითხავს ამ ამბებს და მოწიწებით გაიხსენებს სამამულო ომის ამ გმირთა სახელებს. ამ გმირებს შორის უკვდავი შარავანდედით იქნებიან მოსილნი № ხომალდის გვარდიული ეკიპაჟის წარმომადგენლები: ორდენოსანი ალექსი გუშჩინი, ორდენოსანი გ. შჩერბაკი, გვარდიის ეკიპაჟის ზემდეგი ორდენოსანი ა. ბელოუსოვი, ორდენოსანი კაპიტან-ლეიტენანტი მ. მარტინოვი, მესამე რანგის კაპიტანი კ. აგარკოვი, მეორე რანგის ორდენოსანი სამხედრო ექიმი ვლ. რაქვიაშვილი, უფროსი ლეიტენანტი ორდენოსანი გ. ნიკიპორეცი, ორდენოსანი მიჩმანი ტ. სუხანოვი, წითელფლოტელი პ. პუშკარიოვი და სხვ.

**დ. ამირანიძე**



მე-2 სტატიის ზემდეგი ამხ. ა. მ. ლაბაძე საბრძოლო ვახტზე.
ფოტო ვ. ჯეირანოვისა.

**ალიო. მაშაშვილი**

## სევასტოპოლი

ღელავს შავი ზღვა, ჰქუხს ტალღებით გაავფთრებული,
არწევს ხომალდებს, არწივების ჯავშან-ბუდეებს,
მძვინვარებს ხალხის რისხვასავით გაავდრებული,
ებრძვის და ლეწავს დასავლეთის ქვეყნის ზღუდეებს.

წამს შეჩერდება, შეასვენებს ტალღას ტალღაზე.
მშობლიურ ნაპირს გულისძგერით მიაყურადებს,
გმინვა მოესმის, ქრუანტელი შეაბარბაცებს,
ხმა უფსკრულიდან მოწყვეტილი წვდება გულამდე:

შველას მოითხოვს ქარიშხალი ტყვედ შეპყრობილი,
რომ კვლავ წამოდგეს ღელვასავით, კვლავ ახმოვანდეს, —
მძაფრი საყვირით ზღვას გაჰყვირის სევასტოპოლი,
როგორც ნაპირზე გარიყული მძლავრი ხომალდი.

ის დაჭრილია და ტკივილებს იხვევს დროშებით,
სიკვდილს ებრძოდა გაავფთრებით, ეხლა ტყვე არი,
თითქო ზღვის ტალღებს გამოჰყვება დროგამოშვებით,
მკერდზე ამოჭრილ ვარსკვლავივით ჩანს ნატყვიარი.

რვა თვეს იწვოდა ქარიშხალი ჩაუქრობელი,
გარიყრაქივით ცეცხლის ალში ამოკირულა,
რვა თვეს იბრძოდა დაუძლევი, დაუპყრობელი,
ბოლოს დაეცა, ჩაიჩოქა ზღვაში გმირულად.

ჰეი, არწივნო, ზღვის არწივნო! მწყობრი დინებით
ბასრი კლანჭების ელვარებით რომ დასრიალებთ,
ქარიშხლის ფრთებით სიავდრეში აფრენილებო
თქვენს აკვან-ბუდეს დღედაღამე რომ დასტრიალებთ, —

არ შეარჩინოთ, არ დაუთმოთ ქვეყნად არავის
ჩვენი ცხოვრების და ბრძოლების ნავთსაყუდარი,
დე, მძვინვარებდეს ყვავ-ყორნების ხმა შემზარავი,
მტერს არ დაუთმოთ რაც ჩვენია და საკუთარი.

ღელავს შავი ზღვა, ხალხის რისხვა დაუნდობელი.
მშობლიურ ნაპირს არ შორდება თავგანწირული:
ისევ ინათებს ცისკრისფერად სევასტოპოლი,
ისევ ამოვა ხომალდივით მზე ჩაძირული.

## ჩვენებურები

ხომალდი ნაპირისაკენ მიბრუნდა, მასზე სასიგნალო ბაირაღები აღიმართა, და ქვემეხთა ზალპმა მიდამო შეაზანზარა. სროლა სულ ცოტა ხანს გაგრძელდა. კომენდორი ლაბაძე ის იყო ეზხში შევიდა, რომ უკვე სროლის შეწყვეტის სიგნალი მისცეს. ნავსადგურში ჩასაფრებულ გერმანელთა ბატალიონისაგან, მათი ტანკებისა და ჯავშნიანი საზიდრებისაგან უბადრუკი ნაშთებიღა დარჩა.

ჰანსებსა და ფრიცებს თავზარსა სცემს ეს მძლავრი და სახელოვანი ხომალდი. ნაპირთან მისი მიახლოვების ამბავს რომ გაიგებენ, ჰიტლერელები ცდილობენ რაც შეიძლება ღრმად ჩაიმალონ მიწაში. მხოლოდ ერთ საათს გრიალებენ მთავარი ყალიბის ქვემეხები. გერმანელების მხრიდან კი შემდეგ ხუთიექვსი დღის განმავლობაში სიცოცხლის არავითარი ნიშანწყალი აღარ სჩანს.

ქარიშხლიან ღამეებში, როდესაც გრიგალი ზღვაზე სახლის ოდენა ტალღებს მიაგორებს, ხომალდს მრავალი გმირული ოპერაცია განუხორციელებია, და ფლოტის სარდალს არაერთხელ გაუცია ბრძანება ხომალდის მთელი პირადი შემადგენლობისათვის მადლობის გამოცხადების შესახებ.

მამაცთა და უნარიანთა შორის ვხვდებით ჩვენებურებს—კავკასიის შვილებს. ბრძოლის მრისხანე ჟამს სამეთაურო ბოგზე დგას მე-2 რანგის კაპიტანი ჭინჭარაძე და შორს მიუპყრია მკაცრი თვალი. ამ დიდი კულტურის ადამიანმა თანმიმდევრობით განვლო გზა რიგითი წითელფლოტელიდან დახელოვნებულ მეთაურამდე.

ჭინჭარაძე ერთ-ერთი იმათთაგანია, ვინც სტალინის ნებისყოფის მიხედვით ჰქმნიდა წყნარი ოკეანის ფლოტს. მის ახლანდელ მუშაობაზე კი შავზღვაელები მარტივად და გასაგებად ამბობენ:

— ხელმძღვანელობს № ხომალდის საბრძოლო მოქმედებას.

ხომალდის ცეცხლით სიმძლავრეს განაგებს მეორე ჩვენებური — მე-3 რანგის კაპიტანი პეტროსიანი.

— შესანიშნავი ოსტატია,—სთქვა მის შესახებ ერთ-ერთი საბრძოლო სროლის შემდეგ ფლოტის სარდალმა.

მთავარი კალიბრის ერთ-ერთ კოშკზე ესკადრის გარდამავალი დროშა ფრიალებს. აქ ყველაზე უნარიანი კომენდორები მუშაობენ. მათ შორის არის პირველი ხარისხის ოსტატი —ზემდეგი ლაბაძე. ერთი ჩვეულება აქვს ამ გამოცდილ მეზღვაურს. სანამ სროლას შეუდგებოდეს, აუცილებლად ცარცით ან საღებავით უნდა წააწეროს ყუმბარის კორპუსზე:

— ფრიც, მიიღე „საჩუქარი" საქართველოსაგან.

ყოველი ასეთი „საჩუქრის" შემდეგ გერმანელები რამდენიმე ათეულ ჯარისკაცს ჰკარგავდნენ.

ლაბაძის მრავალრიცხოვან მოწაფეთა შორის გამოირჩევა ახალგაზრდა მეზღვაური არუთინიანი, ცოტა ხნის წინათ არარატის ველზე მშვიდობიანი მევენახე რომ იყო.

მეზღვაურები შექებაზე ძუნწობენ. ოსტატობა, სიმამაცე ხომალდზე მიჩნეულია თითოეული საბჭოთა მეზღვაურისათვის სავსებით სავალდებულო თვისებად. და მაინც ხომალდზე არის საპატიო დაფა, ყველაზე თვალსაჩინო ადგილას საუკეთესოთა ფოტოსურათებია, და მათ შორის არის ორი მეგობარი—მიჩმანი სიმონიანი და მეორე ხარისხის ზემდეგი აბიბო ჭოხონელიძე.

**დ. ილინი**



გვარდიული № სამხედრო გემის ეკიპაჟი (ზევიდან): გვარდიული ეკიპაჟის კომისარი ორდენოსანი შჩერბაკი, II რანგის ინჟინერ-კაპიტანი, ორდენოსანი კუპეცი, კაპიტან-ლეიტენანტი მარტინოვი, კაპიტან-ლეიტენანტი კოროვკინი, კაპიტან-ლეიტენანტი ელისეენკო, III რანგის კაპიტანი აგარკოვი, უფროსი ლეიტენანტი ნიკიპორეცი, უფროსი ლეიტენანტი კნიში, მიჩმანი სუხანოვი, I სტატიის ზემდეგი ა. ბელოუსოვი, წითელფლოტელები: ლიპოვოი, პუშკარიოვი, პეტროვი, მედალოსანი წითელფლოტელი ადინიანი, უფროსი წითელფლოტელი ლაპინი. ფოტო ვლ. გინზბურგისა

## გვარდიის ეკიპაჟის ორდენოსანი სამხედრო ექიმი ვ. რაქვიაშვილი

ვლადიმერ ივანეს-ძე რაქვიაშვილი დაიბადა 1905 წელს თბილისში. მამამისი რკინიგზის მთავარი სახელოსნოების სალიანდაგო საამქროს ოსტატი იყო. საშუალო სასწავლებელი დაამთავრა თბილისში 1924 წელს და შევიდა სამედიცინო ინსტიტუტში. ინსტიტუტი დაამთავრა 1930 წელს. 1931 წლიდან მუშაობდა გურჯაანში, შემდეგ თბილისში რკინიგზის საავადმყოფოში სამედიცინო ინსტიტუტის ქირურგიულ კლინიკაში ორდინატორის თანამდებობაზე. შემდგომ წლებში ამხ. ვ. რაქვიაშვილი მუშაობდა იმავე ქირურგიულ კლინიკაში ქირურგად და ამავე დროს სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის პოლიკლინიკაში ქირურგიული კაბინეტის გამგედ. ამ ხანებში ამხ. ვ. რაქვიაშვილმა დოც. ტყავაძესთან ერთად დასწერა და დაბეჭდა ერთი მეცნიერული შრომა ადგილობრივი ტკივილდადუნების შესახებ. 1937 წელს ამხ. ვ. რაქვიაშვილი გადაიყვანეს ბათუმის რკინიგზის საავადმყოფოს პოლიკლინიკის უფროსად და ამავე საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების გამგედ. 1940 წელს ამხ. ვ. რაქვიაშვილი დაინიშნა სევასტოპოლში სამხედრო-საზღვაო ჰოსპიტლის ტრავმატოლოგიური განყოფილების გამგედ.



საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის დაწყებისას ამხ. ივანე რაქვიაშვილის მრავალრიცხოვანი ოჯახიდან ყველანი საბჭოთა ქვეყნის, საყვარელი სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგნენ: ძმები—ვახტანგი სამხედრო ინჟინერია, შალვა—ლეიტენანტი, ალექსანდრე —მფრინავი, და მარო ზურგში მუშაობს თბილისის ლენრაისაბჭოს პასუხისმგებელ მდივნად, თვით ვლადიმერი კი ომის პირველი დღიდანვე შავი ზღვის № კრეისერზე დაინიშნა სამხედრო ექიმად და მალე სახელი გაითქვა როგორც სამაგალითო ქირურგმა.

1942 წლის 12 და 1[illegible] მარტს გაზეთ „კრასნი ფლოტში" უფროსი პოლიტხელი პონევეჟსკი და სოლოვიოვი მოგვითხრობენ მეორე რანგის სამხედრო ექიმ, კომუნისტ რაქვიაშვილის საუცხოო მუშაობის შესახებ.

„ექიმ რაქვიაშვილის სახელს ღრმა მადლობით, გულთბილად და პატივისცემით იხსენიებს შავი ზღვის ფლოტის № კრეისერის ყველა მეზღვაური. იგი გემის სანიტარული სამსახურის უფროსია და ყველა ლაშქრობის დროს მუდამ თავის საბრძოლო პოსტზეა საოპერაციოში. იგი დინჯად, მტკიცედ აკეთებს ურთულეს ოპერაციებს. იქვე გემთან სკდება ყუმბარები, ზუზუნებს ტყვიები, სულ ახლოს ეცემა ბომბები, მაგრამ ბოლშევიკი რაქვიაშვილი განაგრძობს თავის საქმეს — დაჭრილებს უხვევს ჭრილობებს, უკეთებს ოპერაციას. იგი დახმარებას უწევდა არა მარტო თავისი გემის წითელფლოტელებს. კრეისერს ხშირად გადაჰყავდა დაჭრილი მებრძოლები ფრონტიდან ზურგის ჰოსპიტლებში. ამ გადასვლების დროს რაქვიაშვილი შეუცვლელად მორიგეობდა მტრის ტყვიებით, ნაღმებისა და ყუმბარების ნამსხვრევებით დაჭრილებთან და დაუღალავი ენერგიით უმსუბუქებდა მათ ტანჯვას. თავისი მამაცობით, სიმტკიცითა და რკინისებური ხასიათით მან სიცოცხლე შეუნარჩუნა არა ერთ ათეულ მეზღვაურს. ერთხელ ბრძოლის დროს მტრის ყუმბარა გემის სამედიცინო პოსტს მოხვდა. ექიმი არ დაბნეულა, მან დაუყოვნებლივ დარაზმა სამედიცინო პერსონალი დაჭრილთა გადასაყვანად უშიშარ ადგილას, განაგრძობდა მათთვის დახმარების აღმოჩენას.

კრეისერი ბრძოლას ეწევა. მთელი მისი კორპუსი ზანზარებს მძლავრი ზალპებისაგან. დაჭრილებს დაუყოვნებლივ დახმარება ესაჭიროებათ. კრეისერის სანიტარული სამსახური დაძაბულად მუშაობს. ეს მუშაობა არ სწყდება მაშინაც, როცა გემი უკვე გამოვიდა ბრძოლიდან. ახლა საჭიროა ოპერაციის გაკეთება იმ დაჭრილებისათვის, რომლებსაც პირველი დახმარება აღმოუჩინეს. ზღვა ღელავს, გემი გვერდზე იხრება. მაგრამ 12 წლის სტაჟის მქონე ქირურგი, ექიმი რაქვიაშვილი გაბედულად და მტკიცედ იღებს ხელში ლანცეტს. მან იცის, რომ მას არ უღალატებს ნერვები, თვალები და თითები, იგი დარწმუნებულია, რომ ოპერაცია კარგად დამთავრდება. ბრძოლის შემდეგ სამხედრო ექიმები რაქვიაშვილი და ტანგოროვი 40 საათს არ სცილდებიან საოპერაციო მაგიდას. მათ მიერ გაკეთებული ოპერაციების ხარისხს ყოველი პროფესორი სანიმუშოდ მიიჩნევდა. ამ ბრძოლაში კრეისერის სანიტარულმა სამსახურმა ბრწყინვალე მომზადება უჩვენა. იგი მუშაობდა შეუფერხებლად, უშეცდომოდ, უფაციფუცოდ. რაქვიაშვილისა და ტანგოროვის მუშაობა არ მოითხოვდა შესწორებას—სანაპირო ჰოსპიტლის პერსონალს ისღა დარჩენოდა, რომ თვალყური ედევნებინა დაჭრილთა გამოჯანსაღებისათვის. კრეისერის სანიტარული სამსახური მუდამ ითვლებოდა ერთ-ერთ საუკეთესო სამსახურად შავი ზღვის ფლოტში. ომის დღეებში მან ეს ერთხელ კიდევ დაამტკიცა საბრძოლო ვითარებაში. მან სამშობლოს დაუბრუნა მრავალი ათეული ერთგული შვილი".

მთავრობამ ღირსეულად დააფასა ამხ ვ. რაქვიაშვილის თავდადებული მუშაობა. გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის მეორე რანგის სამხედრო ექიმი ვლადიმერ ივანეს-ძე რაქვიაშვილი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოებულია წითელი ვარსკვლავის ორდენით.

კრეისერმა, რომელზეც ამხ. ვ. რაქვიაშვილი მუშაობს, თავი ისახელა ჰიტლერელთა წინააღმდეგ გმირული ბრძოლებით და მისმა ეკიპაჟმა გვარდიის წოდება მიიღო.

გვარდიის ეკიპაჟის სამხედრო ექიმმა ამხ. ვ. რაქვიაშვილმა მრავალი ეპიზოდი გვიამბო № კრეისერის სახელოვანი ბრძოლებიდან. თითოეულ ეპიზოდში მოსჩანს საბჭოთა მეზღვაურების გმირობა, თავდადება, ამხანაგისა და უფროსისათვის თავგანწირვა, სამშობლოსადმი სიყვარულით შედუღაბებული მტკიცე დისციპლინა, მტრისადმი უსაზღვრო სიძულვილი.

„ერთ-ერთი სასტიკი ბრძოლის დროს, — მოგვითხრობს ერთს ასეთ ეპიზოდს ამხ. ვ. რაქვიაშვილი,—ბრძანება მივიღე გადამენაცვლა ადგილი დაჭრილთათვის დახმარების აღმოსაჩენად, მაგრამ ადგილის გადანაცვლება, როდესაც ტყვია სეტყვასავით ხვდებოდა ჩვენს გემს, მეტად სახიფათო იყო. ამ დროს მეზღვაურმა სანიტარმა ლაზუკინმა მომმართა: —ამხანაგო უფროსო, თქვენი გადასვლა ძლიერ სახიფათოა, შეიძლება დაიღუპოთ, თქვენ კი უაღრესად საჭირო ხართ და იქნებით ჩვენი ეკიპაჟისათვის. ნება მომეცით დაგფაროთ ჩემი სხეულით და მიგიყვანოთ დანიშნულებისამებრ.

მე ნება დავრთე, ამხ. ლაზუკინი ამომეფარა იმ მხრიდან, საიდანაც ტყვიას გვიშენდნენ, და ასე მიმიყვანა ჩემს პოსტზე".

ასეთი ეპიზოდები საბჭოთა მეზღვაურების საბრძოლო ცხოვრებიდან ჩვეულებრივი მოვლენაა და თავისი ჩვეულებრივობით დიადი, კეთილშობილური. ამხ. ვ. რაქვიაშვილი სიცოცხლეს უნარჩუნებს და მებრძოლთა რიგებს უბრუნებს თავდადებულ ადამიანებს, რომლებიც გმირულად იბრძვიან ჩვენი გამარჯვებისათვის, სამშობლოსათვის სტალინისათვის.

**შ. გვინჩიძე**

## გვარდიული ხომალდი

შორს მიდის ხომალდი. ჯიქურ მიაპობს იგი შავი ზღვის მოუსვენარ ტალღებს და უკან სტოვებს აქაფებული წყლის გრძელ კვალს. ეს ხომალდი, შავი ზღვის სამხედრო-საზღვაო ფლოტის წარმომადგენელი, ორ საკვამლემილიანი შეჯავშნული მცურავი გოლიათი, ჩვენი სამშობლოს ერთ-ერთი კუთხის სახელის მატარებელი სამხედრო გემია. მისი ზევითა ბაქნის ყველა კოშკურები ნაპირისკენ არიან მიბრუნებული და გრძელლულიანი შორსმსროლელი ქვემეხები მრისხანედ გაწვდილან ხმელეთისაკენ, სადაც ჯერ კიდევ თარეშობს ვერაგი მტერი.

— ცეცხლი!

შეინჯღრა ხომალდის უზარმაზარი კორპუსი, ქანგისფერი ალი ამოანთხიეს მთავარი ყალიბის ქვემეხთა ლულებმა და გამაყრუებელი ზალპის ხმა გავრცელდა ზღვის ზედაპირზე. მძიმე ყუმბარები რისხვად დაატყდნენ თავს იქ, შორს ხმელეთზე, ჩვენი ოფლითა და შრომით ნაგებ სახლებში თავშეფარებულ, ჩვენს მშობლიურ მიწა-წყალზე ყაჩაღურად შემოჭრილი მტრის განლაგებას. სკდებიან ვებერთელა ყუმბარები, ცეცხლსა და სიკვდილს სთესენ მტრის ბანაკში, უჩინარი მეთვალთვალისგან ხომალდზე ღებულობენ სასიხარულო მოხსენებებს—ყუმბარები გულში ხვდება მტერსო.

— ცეცხლი!

ეს თქვენ, სისხლისმსმელო ჰიტლერელებო, ჩვენი აყვავებული სოფლებისა და კოლმეურნეობების დარბევისათვის, ჩვენი საყვარელი ქალაქების, ჩვენი მარჯვენით აშენებული ელექტროსადგურების, ხიდების, კლუბებისა და სკოლების დანგრევისა და გადაბუგვისათვის.

— ცეცხლი!

ესეც თქვენ ჩვენი დედების, მამების, შვილების, ძმების და დების მხეცურად დახოცვისათვის!

ფაშისტთა განლაგებას უშენს სამხედრო ხომალდი. საბჭოთა ყუმბარები ანგრევენ ჰიტლერელთა სიმაგრეებს, მავთულხლართებს, სიმაგრედ ქცეულ სახლებს. ყუმბარები ხვდება ფაშისტთა ბატარიებს და ჰაერში იტყორცნებიან გერმანელთა ზარბაზნების, ნაღმსატყორცნებისა და ტყვიამფრქვევების დამსხვრეული ნაწილები. მათთან ერთად ჰაერში იტყორცნებიან დაგლეჯილ ჯარისკაცთა და ოფიცერთა გვამები... ჯოჯოხეთური დილა გაუთენა ჩვენმა ხომალდმა ფაშისტ ავაზაკებს.

ზევით ხომალდის ბაქანზე მთავარი ყალიბის ქვემეხთა ქუხილის ხმას შეუერთდა საშუალო და მომცრო ყალიბის ზარბაზნების ხმაურიც. შეუნელებლივ აფრქვევს ცეცხლს ხომალდი და მუსრავს ფაშისტთა ურდოს. ხომალდზე ყველანი ბრძოლის ექსტაზით არიან გატაცებულნი. ყველანი თავიანთ ადგილზე არიან, მექანიზმებთან, ავტომატურ მოწყობილობებთან. განუწყვეტელ გრიალსა და ატეხილ ალიაქოთში ძიგ-ძიგით ქანაობს შეჯავშნული ხომალდი. იგი კვლავ განაგრძობს ცეცხლის ფრქვევას.

გერმანელი არამზადები უკვე გონს მოვიდნენ, უკვე დაიწყეს მათაც ფუსფუსი და სანაპიროდან საბჭოთა ხომალდს დაუშინეს ზარბაზნები და ნაღმსატყორცნები.

წინააღმდეგობის გაწევის ცდამ კიდევ უფრო გააღვივა მეზღვაურებში ბრძოლის ჟინი. უფროსი ლეიტენანტი კოროვკინი, მეორე საბრძოლო განყოფილების უფროსი, საბაქნო არტილერიის მმართველი, ვეფხივით დასტრიალებს ქვემეხთა გუნდებს. მაღლა ფორმარსზე შორმზომელები თვაუღებლად ჩაჰკირკიტებენ აპარატებს და ტელეფონით იუწყებიან ფაშისტთა საცეცხლე წერტების კოორდინატებს.

ფაშისტთა განლაგებას უშენს გვარდიული სამხედრო ხომალდი. ტალღები ეხეთქებიან მის შეჯავშნულ კორპუსს, აქანავებენ მას. თითქოს სურთ ხელი შეუშალონ ჩვენს მეზღვაურებს ზუსტად სროლაშიო, მაგრამ ვერაფრით გადაცდენ შავზღვაელ წითელფლოტელებს. ისინი შეეზარდნენ შავი ზღვის სტიქიის ჭირვეულობას, მათ ჯერ კიდევ ადრე ისწავლეს, თუ როგორ ესროლონ და გაანადგურონ მოწინააღმდეგე მაშინ, როცა სტიქია ბობოქრობს და მტერი არ იცდის.

მრავალი შესანიშნავი საბრძოლო ოპერაცია ჩაატარა ამ ხომალდმა სამამულო ომის დაწყების დღიდან. გერმანელ ფაშისტთა და მათ რუმინელ და იტალიელ მაჩანჩალათა არა ერთი და ორი ქვეითი ნაწილი მოუსპიათ ამ ხომალდიდან გმირ წითელფლოტელებს ოდესასთან, ნიკოლაევთან, ფეოდოსიასთან, სევასტოპოლთან. ათობით ჰიტლერელთა ტანკები, ჯავშნიანი მანქანები, საზღვაო ტრანსპორტები, უთვალავი ავტომობილები დაუმსხვრევია მრისხანე ხომალდის არტილერიას. ბევრჯერ ჩავარდნილა ხომალდი მძიმე ვითარებაში, ბევრჯერ მოინდომეს მისი დაღუპვა ფაშისტმა სვავებმა, მაგრამ ხომალდის გმირი ეკიპაჟი, რომელსაც გამბედავი ვაჟკაცი, თავისი საქმის შესანიშნავი მცოდნე კაპიტანი მეთაურობს, ყოველთვის გამარჯვებული ბრუნდებოდა.

მოხდა ასეთი რამ:

წყვდიადით მოცული ღამით, როცა ცა შავი ღრუბლებით იყო დაფარული და თოვლით გადაფიფქულ ხმელეთზე ქარბუქი მძვინვარებდა, ხომალდი მტრის მიერ დროებით დაკავებული ქალაქისაკენ გავიდა. ზღვაზე შვიდბალიანი შტორმი იყო, ხოლო ხომალდის ტრიუმებში წითელფლოტელები მტრის მიერ დაკავებულ ნაპირზე დესანტისათვის ემზადებოდნენ. არაფერი არღვევდა ღამის სიმშვიდეს, გარდა მთისოდენა ტალღების ხომალდზე ხეთქებისა და შკაპუტებზე ქარის ზუზუნისა. ხომალდი შეუჩერებლივ მიიწევდა წინ... უცბად ღამეში შუშხუნამ გაიელვა და ნაპირიდან სროლა ასტეხეს. ხომალდის არტილერიაც ამოქმედდა. საშინელი გამანადგურებელი სროლით მიიწევდა ხომალდი წინ. ფაშისტებმა ყველა სახის იარაღი ხომალდისაკენ მიმართეს. ამასობაში ნაპირს უკვე უახლოვდებოდნენ წითელი მებრძოლებით სავსე ნავები და ჰიტლერელები კი აინუნშიაც არ იყვნენ, რომ ასეთ ღელვასა და სიცივეში შესაძლებელი იქნებოდა ნაპირზე ჯარის გადაყვანა პატარა ნავებით.

ხომალდის მეთაური მაშინაც, როგორც ყოველთვის, თავის სამეთაურო პოსტზე იდგა. მახლობლად გემის ბაქანზე ნაღმი დაეცა, გასკდა და გულშემზარავად დაიწკრიალეს ხელსაწყოების შუშებმა. კაპიტანმა გვერდით მიიხედა და ნახა, რომ... მესაჭე წითელფლოტელი, შესანიშნავი ჭაბუკი და უშიშარი პატრიოტი ამხ. სუსლოვი სისხლში ცურავდა. სუსლოვი დაუყოვნებლივ შესცვალა მეორე წითელფლოტელმა. ცოტა ხნის შემდეგ ისიც წაიქცა... კაპიტანი წარბშეჭმუხნილი განაგრძობდა ბრძოლის მართვას. იქვე იდგა ხომალდის კომისარი. ისიც დაიჭრა, ისიც წაიყვანეს... დაჭრილებს წითელფლოტელთა ახალი წყებები სცვლიდნენ. ნაპირიდან მოისმა გამარჯვებულ წითელ მებრძოლთა „ურას" ძახილი. ხომალდის ეკიპაჟს ამოცანა შესრულებული ჰქონდა, უკან დაბრუნების დრო იყო...

უკან დაბრუნებისას ხომალდს რამდენჯერმე დაესხნენ თავს ფაშისტთა ესკადრილიები. მაშინ დადგა ხომალდის მეზენიტეთა ვაჟკაცობის გამოჩენის დრო. დაიგრიალეს საზენიტო ქვემეხთა საბაქნო ბატარიებმა და თავდამსხმელ სვავთაგან წყვილ-წყვილად დაიწყეს ზღვაში ცვივნა „მესერშმიტებმა" და „იუნკერსებმა".

გერმანელ ფაშისტებთან საბჭოთა ხალხის სამამულო ომში სარდლობის დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის, სიმტკიცის, ვაჟკაცობისა და სანიმუშო ორგანიზებულობისათვის, პირადი შემადგენლობის მიერ არაერთხელ გამოჩენილი გმირობისა და სამშობლოსათვის თავდადებისათვის ამ ხომალდს მიენიჭა გვარდიის ხომალდის საპატიო სახელწოდება, ხოლო ხომალდის ეკიპაჟს მიენიჭა გვარდიის ხომალდის ეკიპაჟის სახელწოდება.

**დ. ლომთაძე**

# წერილები ფრონტიდან

უდიდესი მზრუნველობით ეპყრობა საბჭოთა ხალხი თავის გმირ წითელ არმიას

ასეულათასობით ამანათები გაუგზავნეს საქართველოს მშრომელებმა სამშობლოს სახელოვან დამცველებს. ამანათებთან ერთად ფრონტზე მიდის წერილებიც. ამ წერილებში საბჭოთა პატრიოტები მიესალმებიან წითელი არმიის სახელოვან მეომრებს, აღტაცებას გამოსთქვამენ მათი გმირული საქმეების გამო, უამბობენ შრომის ფრონტზე თავიანთი წარმატებების შესახებ.

ყოველ ამანათს, ყოველ წერილს ფრონტელები უდიდესი სიხარულით ხვდებიან.

თავის საპასუხო წერილებში ისინი მადლობას უძღვნიან საქართველოს მშრომელთ მზრუნველობისა და ყურადღებისათვის, გამოსთქვამენ იმის ღრმა რწმენას, რომ საბჭოთა ზურგი ღირსეულად შეასრულებს მის წინაშე დასმულ ამოცანებს.

მებრძოლები ამხ. კრიუჩკოვსკი, დემჩენკო, ვუკონოვი, ბაევი, ვერიოვკინი, უფროსი სერჟანტი ვორონინი და ბატარიის კომისარი გოლოვაცკი იწერებიან:

„მადლობას გიძღვნით საჩუქრებისათვის. გისურვებთ ახალ წარმატებებს. გახსოვდეთ, ამხანაგებო, რომ წარმოებაში თქვენი საბრძოლო მუშაობა აჩქარებს საძულველი მტრის სრულ განადგურებას.

პირობას გაძლევთ, რომ ღირსეულად შევასრულებთ ამხანაგ სტალინის ბრძანებას, გავანადგურებთ გერმანელ ოკუპანტებს 1942 წელს".

ნ ქვეგანაყოფის პირადი შემადგენლობის დავალებით პარტორგი ამხ. ბატურა და პოლიტხელის მოადგილე ამხ. დიაჩენკო იწერებიან:

„თქვენი ამანათები მივიღეთ. ერთი მათგანი გადავეცით ქვეგანაყოფის წარჩინებულ მეომრებს—უმცროს მეთაურებს ამხ. ა. ვ. ვარფოლომეევსა და ი. ფ. ტრუბას.

ძნელია გადმოგცეთ, თუ რაოდენ სიხარულს იწვევს ფრონტელებში თქვენი ამანათები. მათში იგრძნობა ხალხის მზრუნველობა და სიყვარული, ჩვენი მებრძოლი საბჭოთა ზურგის მძლავრი დახმარება.

ჩვენ და თქვენ ერთმანეთთან გვაკავშირებს ერთი მისწრაფება, ერთი მიზანი—გავანადგუროთ ჰიტლერელი დამპყრობლები. ეს მიზანი განხორციელებული იქნება. ამის საწინდარია ფრონტისა და ზურგის ურღვევი ერთიანობა, ხალხის სიყვარული თავისი წითელი არმიისადმი.

ზურგში მუშაობით თქვენ სპედთ მტერზე გამარჯვებას. გისურვებთ წარმატებას მუშაობაში. ამრავლეთ თქვენი საწარმოო მიღწევები, გამოუშვით ფრონტისათვის საჭირო მეტი პროდუქცია".

ერთ-ერთი ქვეგანაყოფის მებრძოლთა, მეთაურთა და პოლიტმუშაკთა სახელით უფროსი ლეიტენანტი ამხ. ბოგამოვი იწერება:

„მხურვალე მადლობას გიძღვნით საჩუქრებისათვის, ვამაყობთ თქვენი ყურადღებით. თქვენი წერილები და საჩუქრები აღაფრთოვანებენ მებრძოლებს ახალ-ახალი საგმირო საქმეებისათვის, ახალ-ახალ ძალას მატებენ მათ მტერთან საბრძოლველად.

წითელი არმიისათვის საშიში არ არის არავითარი განსაცდელი, იმიტომ რომ მას მხარს უჭერს მძლავრი საბჭოთა ხალხი.

დაე განმტკიცდეს და გაფართოვდეს ფრონტისა და ზურგის საბრძოლო თანამეგობრობა, დაე გაიზარდოს თქვენი საწარმოო წარმატებები.

მოგიწოდებთ კიდევ უფრო თავდადებულად დაეხმაროთ ფრონტს, ამრავლოთ ომიანობის დროის სტახანოველთა რიგები, გამოუშვათ მეტი პროდუქცია.

წითელი არმია და საბჭოთა ხალხი შეასრულებენ ამხანაგ სტალინის ბრძანებას: 1942 წელს მტერი განადგურებული იქნება".

### სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახელოვანი წარსულიდან

## „პეტროპავლოვსკი" — „მარატი"

— პეტროგრადში რევოლუცია მოხდა! — ეს სიტყვები სახაზო გემის „პეტროპავლოვსკის" გემბანზე წამოიყვირა აღელვებულმა მეზღვაურმა.

ოფიცრები მიიმალნენ. „პეტროპავლოვსკზე" წითელი დროშა აფრიალდა. გემის მართვა ხელში აიღო მეზღვაურთა კომიტეტმა.

თებერვლის რევოლუციის პირველ დღეებიდანვე „პეტროპავლოვსკის" მეზღვაურები აქტიურ მონაწილეობას იღებენ დროებითი მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლებში.

კერენსკის მთავრობამ ვერაფერი გააწყო მეამბოხე გემთან. ამიტომ წყალქვეშა ნავებს ბრძანება მიეცათ ჩაეძირათ იგი. მაგრამ ბოლშევიკ მეზღვაურთა რევოლუციურმა სიფხიზლემ იხსნა სახაზო გემი.

ოქტომბრის დღეებში „პეტროპავლოვსკის" მეზღვაურებმა მონაწილეობა მიიღეს ზამთრის სასახლის აღებაში. რამდენიმე ხნის შემდეგ მეზღვაურ ბოროვიკოვის მეთაურობით მათ სმოლნში ინახულეს ლენინი, რომელიც სიხარულით შეხვდა ჰელსინგფორსიდან ჩამოსულ მეზღვაურებს.

იმავე დღეს პეტროპავლოვსკელნი ნარვის ფრონტისაკენ გაემართნენ.

1918 წელს ჰელსინგფორსის ახლოს, ხანკოს ნახევარკუნძულზე, გერმანელებმა დესანტები გადმოსხეს. გერმანელთა ფლოტის სარდალმა წინადადება მისცა რუს მეზღვაურებს ნებაყოფლობით ჩაებარებინათ მისთვის გემები, რომლებიც ჰელსინგფორსში იდგნენ. რუსმა მეზღვაურებმა გადასწყვიტეს რადაც უნდა დაჯდომოდათ გადაერჩინათ გემები. ზამთრის უძნელეს პირობებში მათ გაარღვიეს გაყინული ფინეთის ყურე და გემები კრონშტადტში მიიყვანეს. ესკადრას წინ მიუძღვებოდა სახაზო გემი „პეტროპავლოვსკი".

1919 წელს „პეტროპავლოვსკმა", სახაზო გემ „ანდრეი პერვოზვანისთან" ერთად, ამხანაგ სტალინის ბრძანებით გრიგალისებური ცეცხლი დაატეხა თავს ფორტებს „კრასნაია გორკასა" და „სერაია ლოშადს", სადაც კონტრრევოლუციონერებმა აჯანყება მოაწყეს და მოინდომეს კრონშტადტის განადგურება. აჯანყება ჩაქრობილ იქნა.

ინტერვენციისა და სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ დაიწყო საბჭოთა სამხედრო-საზღვაო ფლოტის აღორძინება. „პეტროპავლოვსკზე" დაბრუნდნენ ძველი მეზღვაურები, რომლებიც მონაწილეობდნენ სამოქალაქო ომში. გემზე მოვიდა აგრეთვე ახალი შევსება—კომკავშირელები. სახაზო გემი შეაკეთეს და დაარქვეს „მარატი".

„მარატი" გახდა ბალტიის ფლოტის ერთ-ერთი ყოველმხრივ მოწინავე გემი. მას მრავალჯერ სტუმრებიან მ. ვ. ფრუნზე, კ. ე. ვოროშილოვი, ს. მ. კიროვი, ა. ა. ჟდანოვი.

1928 წელს მოხდა „მარატის" მოდერნიზაცია, რომლის შედეგად გემი გახდა მძლავრი თანამედროვე სახაზო გემი, აღჭურვილი უახლესი ტექნიკით. „მარატის" მეზღვაურთა კოლექტივში აღიზარდნენ წყნარი ოკეანის ფლოტის სარდალი ვიცე-ადმირალი იუმაშევი, ვიცე-ადმირალი ტრიბუცი, ვიცე-ადმირალი სტავიცკი, კონტრ-ადმირალი რალი და სხვ.

1939 წელს „მარატის" შორსმსროლელი არტილერია ანადგურებდა თეთრფინელთა ბანდებს. სარდლობის ყველა დავალება მარატელებმა ბრწყინვალედ შეასრულეს.

„მარატის" პირადი შემადგენლობა, წითელდროშოვანი ბალტიის სამხედრო - საზღვაო ფლოტის სახელოვანი მეზღვაურები ამჟამად გაასკეცებული თავდადებით იბრძვიან ფაშისტ მეკობრეთა წინააღმდეგ.

მცურავი ციხე-სიმაგრე „მარატი" გათავხედებული მტრის რისხვა არის.

## შეჯიბრება ნიჩბებით ნაოსნობაში

ფიზკულტურელის და სამხედრო-საზღვაო ფლოტის საკავშირო დღეების აღსანიშნავად ამას წინათ საქართველოს ერთ-ერთ ნავსადგურში გაიმართა შეჯიბრება ნიჩბებით ნაოსნობაში. ოსტატობის მაღალი კლასი გამოამჟღავნეს და ნიჩბებით ნავების მართვის შესანიშნავი მაგალითები გვიჩვენეს შეჯიბრებაში მონაწილე ახალგაზრდებმა.

გუნდურ შეჯიბრებაში პირველი ადგილი მოიპოვა მენაოსნეთა იმ გუნდმა, რომელსაც ამხ. კოროვკინი ხელმძღვანელობდა. მეორე ადგილზე გამოვიდა ამხ. ელისეენკოს გუნდი, ხოლო მესამე ადგილზე ამხ. სინიცკის გუნდი.

ინდივიდუალურ შეჯიბრებაში პირველმა გასცურა ნავით და ფინიშზე პირველი მივიდა ამხ. კუდიში. მეორე ადგილი დაიკავა როდიონოვმა, ხოლო მესამე ოსიპოვმა.

## კარტოფილის ორი მოსავალი ერთ ზაფხულში

გაზეთმა „მოსკოვსკი ბოლშევიკმა" გამოაქვეყნა ცნობა აგრონომ ანაშინის ძვირფასი ცდის შესახებ. ამხ. ანაშინმა პრაქტიკულად დაამტკიცა, რომ შესაძლებელია ერთი ზაფხულის განმავლობაში ერთსა და იმავე ფართობზე კარტოფილის ორი მოსავალი იქნას აღებული. საადრეო კარტოფილის აღების შემდეგ ხელახლა დარგული ფოჩი კარგად ხარობს და თვე-თვენახევრის შემდეგ კვლავ იძლევა ნაყოფს.

ტიმირიაზევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემიის პროფესორი ამხ. ხარჩენკო, შეფასებას აძლევს რა ამ ცდას, ამბობს: ეს ცდა ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ სწორია საბჭოთა მეცნიერების დასკვნები ერთი ბუჩქიდან კარტოფილის ორი მოსავლის მიღების შესაძლებლობის შესახებ.

ეს ასე ხდება.

თუ კარტოფილი ისეთ ფართობზე იზრდება, სადაც შეიძლება იგი წლის დამლევამდე დარჩეს, მას შემდეგ, რაც დღის სიცხე დაიკლებს, კარტოფილის ბუჩქს ფიწლით ან ნიჩბით ფრთხილად გამოუთხრიან ძირს ერთი მხრიდან და რამდენადმე გვერდზე დააწვენენ, შემდეგ კი ტუბერებს იღებენ. მერე მორწყავენ იმ ადგილს, სადაც ბუჩქი კვლავ უნდა იქნას დარგული. კარგ მოსავალს მივიღებთ, თუ ბუჩქქვეშ 0,25-0,50 კილოგრამამდე კომპოსტიან მიწას ჩავყრით. როცა ფოჩი დარგულია, კვლავ მორწყავენ და ცოტაოდენ მშრალ მიწას მიაყრიან. ფოჩი ჯერ ჩაწვება, მაგრამ მესამე დღეს გასწორდება და წინანდელ სახეს მიიღებს. ამრიგად, კარტოფილის ბუჩქი განაგრძობს ზრდას და ახალ ტუბერებს იკეთებს.

საადრეო კარტოფილის აღების შემდეგ კიდევაც რომ საჭირო იყოს მინდვრის განთავისუფლება საშემოდგომო პურეულის დასათესად, ამ შემთხვევაშიც კარტოფილის ბუჩქები შეიძლება გამოყენებულ იქნას, თუ მათ ახალ ადგილებზე გადავრგავთ.

უეჭველ წარმატებას რომ მივაღწიოთ, ასე უნდა მოვიქცეთ. უნდა მოვაწყოთ ბუჩქების ამოთხრა, შეგროვება და დარგვა საღამოსათვის ან მოღრუბლულ ამინდში. ბუჩქები ფრთხილად უნდა ამოვთხაროთ მიწიანად და ვეცადოთ, რომ ფესვები და მიწისქვეშა სტოლონები არ დავაზიანოთ. როცა ტუბერები შეგროვებულია, ბუჩქებს დახრით ჩააწყობენ კალათებში, ყუთებში ან ურმებში და დასარგავი ადგილებისაკენ წაიღებენ. მიწა წინასწარ უნდა იყოს კარგად განოყიერებული, მოხნული ან დაბარული სულ ცოტა 20-25 სანტიმეტრ სიღრმეზე. ბუჩქებს ნაბარავში რგავენ, ამასთან მიწას ზემოაღნიშნული წესით ამუშავებენ.

კარტოფილის მეორე მოსავალი შეიძლება პირველ მოსავალზე ნაკლები არ იქნეს.

(საკდესი).

## საომარი მოქმედება ეგვიპტეში

ლონდონი, 25 ივლისი (საკდესი). [illegible]

## ინგლისის ბომბდამშენთა თავდასხმა მაინცსა და ჰამბურგზე

ლონდონი, 25 ივლისი (საკდესი). [illegible]

## ინგლისის ავიაციის მოქმედება

ლონდონი, 25 ივლისი (საკდესი). [illegible]

## ინგლისში ჩავიდნენ ამერიკის ჯარები

ლონდონი, 25 ივლისი (საკდესი). [illegible]

## ინგლისის მრეწველობის კონცენტრაცია

ლონდონი, 25 ივლისი (საკდესი). ინგლისის მრეწველობის კონცენტრაციის შედეგად 250 ათასამდე მუშა განთავისუფლებულ იქნა სამხედრო საწარმოებში სამუშაოდ. განთავისუფლებულია 55 მილიონზე მეტი კვადრატული ფუტი საქარხნო ფართობი, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვა მიზნებისათვის. ამჟამად ზოგიერთი საწარმოს კონცენტრაცია კიდევ გრძელდება, რაც იმით არის გამოწვეული, რომ აუცილებელია ნედლეულის მოზოგვა და საჭიროა მუშახელი სამხედრო საწარმოებისათვის.

## რუზველტმა ხელი მოაწერა კანონპროექტს მიწათმოქმედების სამინისტროს საჭიროებისათვის ასიგნების გადიდების შესახებ

ვაშინგტონი, 25 ივლისი (საკდესი). რუზველტმა ხელი მოაწერა კანონპროექტს მიწათმოქმედების სამინისტროს საჭიროებისათვის 805 მილიონი დოლარის გადიდების შესახებ. ეს კანონპროექტი მთავრობას უფლებას ანიჭებს გაჰყიდოს მთავრობის კუთვნილი 125 მილიონი ბუშელი ხორბალი საკვებად და სპირტის წარმოებისათვის დაახლოებით 85 ცენტად ბუშელი, ე. ი. არსებულ მინიმალურ ფასებზე უფრო იაფად. მთავრობას ნება დაერთო აგრეთვე მისცეს კრედიტები პატარა ფერმებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების გასადიდებლად.

## შეიქმნა ინგლის-ამერიკის პროფკავშირთა კომიტეტი

ლონდონი, 25 ივლისი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ვალტერ სიტრინმა გამოაცხადა, რომ ტრედუნიონების კონგრესის გენერალურმა საბჭომ მოიწონა ამერიკის შრომის ფედერაციის წინადადება ინგლის-ამერიკის პროფკავშირთა კომიტეტის შექმნის შესახებ. გენერალური საბჭო, იღებს რა ამ წინადადებას, იმედს გამოსთქვამს, რომ შექმნილი კომიტეტი ხელს შეუწყობს ატლანტის ოკეანის ორივე მხარის მუშებს შორის თანამშრომლობის დამყარებას და ომის წარმატებით დამთავრებას.

## იუგოსლაველი პარტიზანების მოქმედება

ჟენევა, 25 ივლისი (საკდესი). იუგოსლავიის პარტიზანული არმიის შტაბის ცნობაში ნათქვამია, რომ პარტიზანულმა რაზმებმა, რომლებიც განაგრძობენ შეტევას კოჩევიეს სამხრეთისაკენ, დაიკავეს მდინარე კუპაზე მდებარე ქალაქი ბროდ-მორავიცა და შეუერთდნენ ხორვატიაში მოქმედ პარტიზანულ რაზმებს. პარტიზანები მთლიანად უწევენ კონტროლს იმ გზას, რომელიც აკავშირებს ქალაქებს კოჩევიესა და ლიუბლიანას.

იტალიელ-გერმანელმა ოკუპანტებმა, რომელნიც სასტიკი მხეცობით ცდილობენ დააშინონ მოსახლეობა, სლოვენიაში მთლად გადასწვეს რამდენიმე ათეული სოფელი. მაგრამ იუგოსლაველმა პატრიოტებმა ჰიტლერელთა ამ დანაშაულობათა პასუხად კიდევ უფრო გააძლიერეს ბრძოლა. გადამწვარი სოფლების მთელი მოზრდილი მოსახლეობა უკლებლივ შევიდა პარტიზანულ არმიაში.

## გერმანიის ეკონომიური სიძნელენი

ლონდონი, 25 ივლისი (საკდესი). ინგლისის ინფორმაციის სამინისტრო გადმოგვცემს, რომ გერმანიაში 1942 წელს მოსავალი, უეჭველია, საშუალოზე ნაკლები იქნება. ამიტომ სასურსათო ნორმების შემცირებას, რაც აპრილში განახორციელეს, მოსალოდნელია ამ წლის დამლევამდე მოჰყვეს ხორცისა და ცხიმეულის გაცემის შემდგომი შემცირება. პურის საცხობები იძულებული არიან ქერი და სხვადასხვა სუროგატი გაურიონ პურს. განუწყვეტლივ უარესდება მრეწველობის მდგომარეობა, რაც გამოწვეულია, ჯერ-ერთი, მარაგის ნაკლებობით, მეორე, კვალიფიციურ მუშათა სამხედრო სამსახურში გაწვევით და მესამე ნახევრადშიმშილით.

გერმანიაში საფეიქრო საქონლის დიდი ნაკლებობაა, და თუ ასეთი მდგომარეობა გაგრძელდა, ადვილი შესაძლებელია ზამთარში ტანსაცმლის მეტად მწვავე ნაკლებობა იქნეს.

## მოუსავლობა გერმანიაში

ნიუ-იორკი, 25 ივლისი (საკდესი). როგორც გაზეთი „ჩიკაგო დეილი ნიუსი" გადმოგვცემს, სასოფლო მეურნეობის საკითხთა ექსპერტები წინასწარმეტყველებენ, რომ წლის მოსავალი გერმანიაში შარშანდელისაზე 20 პროცენტით ნაკლები იქნება. მოსავალი სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, დანიასა, ნორვეგიასა, საფრანგეთსა, ჰოლანდიასა და ბელგიაში კიდევ უფრო ნაკლები იქნება, ვიდრე გერმანიაში. გერმანიის მიწათმოქმედების მინისტრი ბაკე მოუწოდებს კვლავ შეამცირონ გერმანიაში ხორცისა და ცხიმეულის გაცემის ნორმები 25 პროცენტით და აღნიშნავს, რომ მომავალ ზამთარს გერმანია იძულებული იქნება ისევ შეჰკვეცოს სურსათის გაცემის ნორმა. გერმანელი ექსპერტების ცნობებით, გერმანიაში მოსავლის აღების კამპანიის დროს დამატებით საჭირო იქნება ერთი მილიონი სასოფლო-სამეურნეო მუშა. ეს ექსპერტები აღნიშნავენ, რომ მუშახელის ასეთი ნაკლებობის შევსება შეუძლებელია.

## დიდი ხანძრები ბერლინში

სტოკჰოლმი, 25 ივლისი (საკდესი). როგორც შვეციის გაზეთების ბერლინელი კორესპონდენტები იუწყებიან, 20 ივლისს, დილით, ბერლინის ვილმერსდორფის რაიონში 7 ადგილას გაჩნდა დიდი ხანძარი, რამაც მნიშვნელოვანი ზარალი გამოიწვია. პოლიციის კვლევა-ძიებით გამოირკვა, რომ ხანძარი ცეცხლის წაკიდებით გაჩენილა. დამნაშავენი ვერ აღმოაჩინეს.

## დაჭრილ გერმანელთა დაუსრულებელი ნაკადი

ნიუ-იორკი, 25 ივლისი (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი სტამბოლიდან გადმოგვცემს, ბერლინიდან ჩამოსულნი იუწყებიან, რომ ამ უკანასკნელ ხანს ძლიერ გაიზარდა დაჭრილ ჯარისკაცთა რიცხვი, რომლებსაც ბერლინის ქუჩებში შეხვდებით. სასტუმროები გაჭედილია კელნიდან, ესენიდან, ლუბეკიდან და სხვა დაბომბილი ქალაქებიდან ჩასული ლტოლვილებით.

არსებული ცნობებით, ხელისუფლებამ უნგრეთისა და სლოვაკიის ყველა სასტუმროს რეკვიზიცია მოახდინა დაჭრილ გერმანელ ჯარისკაცთა მოსათავსებლად.

## ჰიტლერელებმა ფრანგი ხალხი გადასაშენებლად გაწირეს

ჟენევა, 25 ივლისი (საკდესი). ამ უკანასკნელ ხანს საფრანგეთში შიმშილის ნიადაგზე მასობრივად გაჩნდა სენი „ბერი-ბერი", რასაც იწვევს ორგანიზმში ვიტამინების ნაკლებობა. გახშირდა ტუბერკულოზით დაავადებაც. მოსახლეობის ფიზიკური მდგომარეობა იმდენად გაუარესდა, რომ გერმანელთა კონტროლქვეშ მყოფი პრესაც კი იძულებულია განგაში ასტეხოს ამის გამო. ამ დღეებში გაზეთმა „ტანმა" მოწინავე მიუძღვნა „ერის მომავლის" საკითხს. გაზეთი შეჭირვებით აღნიშნავს, რომ „შეშფოთებას იწვევს მოსახლეობის ფიზიკური მდგომარეობის დაცემა, რაც მჟღავნდება ისეთი მოვლენებით, როგორიც არის გახდომა, თავბრუ და მძინარობა, რაც ტუბერკულოზის მომასწავებელია. 20-25-წლიანებს ხშირად აქვთ სისხლდენა".

## ჰიტლერელები ძარცვავენ ბულგარელ გლეხებს

ჟენევა, 25 ივლისი (საკდესი). სოფიაში გამოქვეყნდა მინისტრთა საბჭოს განკარგულება, რომელიც ეხება ბულგარელი გლეხებისათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ჩამორთმევას. ამ განკარგულების თანახმად, ყოველი გლეხი ვალდებულია გამოჰყოს მარცვლეულის დაწესებული რაოდენობა, რაც უნდა ჩაჰბარდეს „სურსათექსპორტის" (ორგანიზაცია, რომელიც გერმანიაში სურსათის გაზიდვას განაგებს) ბეღლებს. გლეხურ მეურნეობაში მომუშავე თითოეული პირისათვის მომავალ მოსავლამდე დატოვებულ იქნება 400 გრამი მარცვალი დღეში. დაწესებულია იმ ფურაჟის მინიმუმი, რომელიც შეიძლება გლეხმა თავის განკარგულებაში იქონიოს. მთელი „ნამეტი" დაუყოვნებლივ უნდა იქნას ჩაბარებული.



№ ხომალდი. კაპიტან-ლეიტენანტი ორდენოსანი ნ. ელისეენკო (მარჯვნივ) და წითელფლოტელი ი. სუსლოვი აწარმოებენ ასტრონომიულ დაკვირვებას.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

## „ქართველი ხალხის გმირი შვილი მიხეილ ლევანის-ძე გახოკიძე"

„ზარია ვოსტოკამ" გამოსცა ბროშურა — „ქართველი ხალხის გმირი შვილი მიხეილ ლევანის-ძე გახოკიძე".

ბროშურაში მოთავსებულია: „ზარია ვოსტოკას" სარედაქციო წერილი —„საბჭოთა კავშირის გმირი მიხეილ გახოკიძე", ლექსები: გალაქტიონ ტაბიძის—„გმირ მიხეილ გახოკიძეს", ალ. აბაშელის—„სალამი გმირს", საბჭოთა კავშირის გმირ მ. ლ. გახოკიძის წერილი — „სამშობლოსათვის! სტალინისათვის!", მ. ლ. გახოკიძის გმირობის შესახებ კორესპონდენციები ფრონტიდან: ს. გალიშევის—„სევასტოპოლის გმირული დაცვა", ა. კულდაევის — „სევასტოპოლის მამაცი დამცველები", ვ. სინიავსკისა და ი. არდის—„შემტევ ღამეში სევასტოპოლთან", აგრეთვე ბ. ბორისოვის — „სევასტოპოლის დამცველთა უკვდავი სახელი".

ქართველი ხალხის სახელოვანი შვილისადმი მიძღვნილი ბროშურა ლამაზად არის გამოცემული. მასში მოთავსებულია სევასტოპოლის უშიშარი დამცველის, საბჭოთა კავშირის გმირის ამხ. მ. ლ. გახოკიძის პორტრეტი და აგრეთვე მხატვარ ვ. სვაროგას ორი ნახატი: „მ. ლ. გახოკიძის გმირობა", „ამხ. მ. ლ. გახოკიძე მტრის სანგარში ხიშტით ჰკლავს გერმანელ ოფიცერს".

ბროშურის რედაქტორია ბ. კორნეევი.

ფასი 75 კაპ.

## ლექციები და მოხსენებები

27 ივლისს, საღამოს 8 საათზე, სომხურ თეატრში [illegible]

28 ივლისს, საღამოს 8 საათზე, [illegible]

## კალენდარი

[illegible] ლორთქიფანიძესთან.

საქ. კ. პ. (ბ) ხობის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 3301284, გაცემული ვალიკო გიორგის-ძე აბრამიშვილის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

## თეატრებსა და დასასვენებელ პარკებში

რუსთაველის სახელობის—26 ივლისს —სომხეთის სახელმწიფო ჯაზი. მუსიკალური კომედიის—26 ივლისს—„როზ-მარი", [illegible]

## დღეს კინოებში

[illegible] ძლლო კინოკრებული № 8".

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი


**სსრკ მშენებლობის საჰ. კომისარიატის თბილისის საამშენებლო ტექნიკუმი**

აცხადებს მიღებას 1942-43 სასწავლო წლისათვის.

საამშენებლო ტექნიკუმი ამზადებს ტექნიკოსებს შემდეგი სპეციალობით: 1. სამოქალაქო-სამრეწველო ნაგებობათა, 2. არქიტექტურული და 3. წყალსადენ-კანალიზაციის.

უგამოცდოდ მიიღებიან ორივე სქესის მოქალაქენი 15-დან 30 წლის ასაკამდე: I კურსზე 1941-42 სასწ. წელს 7 და 8 კლასდამთავრებული ფრიადოსნები და კარგოსნები, მე-2 კურსზე — მე-9 და მე-10 კლასის მოსწავლენი.

შენიშვნა: დანარჩენი არასრულ საშუალო სკოლადამთავრებულნი მიიღებიან I კურსზე, რისთვისაც ჩააბარებენ გამოცდებს 7 კლასის პროგრამის მოცულობით შემდეგ საგნებში: 1. მათემატიკა, 2. დედაენა და 3. სსრკ კონსტიტუცია.

არქიტექტურულ სპეციალობაზე შესვლის მსურველნი აბარებენ დამატებით გამოცდას ხატვაში.

გამოცდები იწარმოებს ა. წ. 20-დან 28 აგვისტომდე.

განცხადებები მიიღება ა. წ. 20 აგვისტომდე.

განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: 1. ავტობიოგრაფია, 2. განათლების მოწმობა (დედანი), 3. ჯანმრთელობის მოწმობა, 4. დაბადების მოწმობა 5. ფოტოსურათი შემსვლელის ხელმოწერით და სახელმწიფო დაწესებულების მიერ შემოწმებული, 6. ცნობა სამხედრო ვალდებულებასთან დამოკიდებულების შესახებ. პასპორტი წარმოდგენილ უნდა იქნას პირადად გამოცხადების დროს.

მეცადინეობა დაიწყება 1 სექტემბერს.

საამშენებლო ტექნიკუმში ორი სექტორია: ქართული და რუსული.

ტექნიკუმი სამწლიანია.

ის პირნი, ვისაც საცხოვრებელი ფართობი ესაჭიროება, როგორც გამოცდის, ისე ტექნიკუმში ჩარიცხვის შემდეგ უზრუნველყოფილი იქნებიან ტექნიკუმთან არსებული საერთო საცხოვრებლით, სადაც სტუდენტთა სასაუზმე და სასადილოა მოწყობილი.

სტიპენდია მიეცემათ საერთო წესით.

ტექნიკუმის მისამართი: თბილისი, საბურთალო, კომბაინის ქუჩა № 46.

197 დირექცია

**საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქიმიის ინსტიტუტი**

აცხადებს, რომ ა. წ. 17 აგვისტოს, საღამოს 8 საათზე, დიდ აუდიტორიაში (კამოს ქ. № 34/36) შესდგება ამავე ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომა, რომელზედაც ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციას საჯაროდ დაიცავს ქიმიის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი ნიკოლოზ რაფიელის-ძე დოლიძე თემაზე:

„ორვალენტოვანი რკინის ეთილატის მიღება და მისი ჰიდროლიზი".

ოფიციალური ოპონენტები: პროფ. ვ. ახათიანი, ქიმიის მეცნ. კანდიდატი დოც. პ. გოგორიშვილი და ქიმიის მეცნ. კანდიდატი დოც. ქრ. არეშიძე.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება ყოველდღე, ქიმიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში დილის 9 საათიდან საღამოს $5^{1}/_{2}$ საათამდე.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
195 ქიმიის ინსტიტუტის დირექტორი მიხ. შიშნიაშვილი.

თბილისის რადიოტელეგრაფის ქარხნის დირექცია იუწყება დიმიტრი დუდუჩავას მამის

მურზა ლომიკიას-ძე დუდუჩავას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 27/VII, 8 ს. გამოსვენება 28/VII, 6 ს., ერისთავის ქ. № 15. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 947

საქ. სამოქალაქო ავიაციის თბილისის აეროპორტისა და მშენებლობის მუშა-მოსამსახურეები იუწყებიან ინჟინერ ვ. ი. ტატიშვილის დედის

მარიამ ივანეს-ასულ ბაიაძე-ტატიშვილის

გარდაცვალებას. გამოსვენება 26/VII 6 ს. თხინვალის შესახ. № 11. დაკრძალვა ვერის ძველ სასაფლაოზე. 944

საქაბრეშუმტრესტის ადმინისტრაცია და პარტორგანიზაცია იუწყებიან ივლიანე ჯანელიძის დისწულის

შოთა მინასა-ძე ჭელიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 26/VII, სოფ. ძირაგეულში (ამბროლაურის რაიონი). 946

თბილისის პიონერთა სასახლის დირექცია და პედპერსონალი იუწყებიან მზია ერისთავის დედის

ოლიმპიადა (როსკან) ერისთავის

გარდაცვალებას. დაკრძალვა სოფელ ზეინდარში (ვანის რაიონი). 948

თბილისის ავტო-მოტოკლუბისა და სახელოსნოების მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივი იუწყება გრიგოლ ფაჩულიას მამის

ალექსი ბადურის-ძე ფაჩულიას

გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. ბათუმში. 943

თბილისის კიროვის რაიფინგანის კოლექტივი იუწყება ქალაქის ფინგანის გამგის

უშანგი ივანეს-ძე გაბაძის

გარდაცვალებას. გამოსვენება 26/VII, 5 ს. ნიკოლაძის ჩიხი № 6. დაკრძალვა ვაკის სასაფლაოზე. 945


# ჩვენ სევასტოპოლიდან ვართ

პატარა ხომალდი, სახელად „გრუნტი", სევასტოპოლში გამოჩნდა ომის დაწყებამდე ერთი წლის წინათ. ხისაგან ნაკეთები, მომცრო, იგი მრავალი წლის წინათ იყო აგებული აზოვის ზღვის ნავსადგურებს შორის საკაბოტაჟო ნაოსნობისათვის. ხნიერმა „გრუნტმა" გადაჰკვეთა შავი ზღვა და სევასტოპოლში გაჩნდა, რამაც ყველა გააოცა.

აქ მას საქმე ბევრი გამოუჩნდა. ნავსადგურში სავდულების გაღება-დახურვა, ბონის ღობურის დადგმა, ტივტივებისა და კოშკურების დაყენება, შუქურების მომარაგება.

დაწყებულ ომს, ქალაქისათვის ალყის შემორტყმას თითქმის არავითარი ცვლილება არ შეუტანია „გრუნტის" მოვალეობებში. მხოლოდ ის იყო, რომ ახლა სამსახურის გაწევა უხდებოდა არტილერიის ცეცხლქვეშ, დაბომბვის პირობებში. ბონის ღობურასთან მოგლეჯილი ტივტივას შეცვლა თავისთავად რთული საქმე არ არის. მაგრამ.., მორიგი ყუმბარა ზედ ხომალდთან სკდება. ნამსხვრევები პირწმინდად ჰგლეჯს ანძებს, ნაფოტებად აქცევს რადიოკოშკურას. აფეთქებობს ტალღა ზღვაში სტყორცნის მესაჭეს. ბოგაზე ფეხებგაბოჯიჯგებული თავის ჩვეულებრივ პოზაში დგას ახალგაზრდა მეთაური ეფიმ ცირლინი; მატროსები პონომარენკო, პაშკოვი და ბუკოვატი ახალ ტივტივას აყენებენ.

დიდი სიბრძნე არ უნდა ბუხტის შესასვლელში დადგომას და გემებისათვის შუქსიგნალებით გზის ჩვენებას. მაგრამ იელვა თუ არა შუქმა, აგრიალდნენ გერმანელთა მძიმე ზარბაზნები—ისინი სამიოდე კილომეტრით თუ არიან დაშორებული, — და გემბანზე არაკუნდნენ ნამსხვრევები. „გრუნტი" კი ვახტზე უნდა იდგეს, სიგნალები უნდა აძლიოს გემებს მთელ ღამეს, გათენებამდე.

დადგა სევასტოპოლის დაცვის უკანასკნელი ღამე. წავიდნენ სამხედრო გემები. ჩაქრა სინათლე ხერსონესის შუქურაზე. მხოლოდ ჩვეულებრივ ადგილას, ფარვატერის შესასვლელის სავდულებთან, მორიგეობდა პატარა „გრუნტი".

გარიერაჟის წინ მეთაურმა გასცა ბრძანება ყველანი გამოეძახათ ზედა გემბანზე. ქუდმოხდილი ადამიანები დიდხანს მდუმარედ გასცქეროდნენ თოფისწამლის კვამლში გახვეულ მშობლიური ქალაქის ნანგრევებს. ვაჟკაცის მწარე ცრემლებით ტიროდა მეცეცხლური გიორგი კურსო...

ხომალდმა დანაღმულ ველებში გამოაღწია და ბუხტიდან გამოვიდა. თვალთაგან მიეფარა სისხლით მორწყული ყირიმის ნაპირები. გარშემო ზღვაა გადაჭიმული. შორი და ხანგრძლივი გზა უდევს წინ პატარა ხომალდს. მისი სვლის მაქსიმალური სიჩქარე კი საათში სამი კვანძია. ალყაშემორტყმულ და დანგრეულ სევასტოპოლში ქვანახშირიც ვერ იშოვნეს და სათბობად ხომალდზე ხის ხარა-ხურა წამოიღეს.

... მზის სხივებიდან გამოსრიალდა „იუნკერს-88", იტრიალა, გარემო მოათვალთვალა. დაბლა დაეშვა, კიდევ იტრიალა. ახლა მფრინავს ეჭვი აღარ ეპარებოდა—ხომალდზე არ იყო არც ზარბაზანი, არც ტყვიამფრქვევი. ადვილად და დაუსჯელად შეუძლია შეუდგეს საყვარელ და ჩვეულ, წმინდა არიულ საქმეს. ბომბების ტვირთი დააყარა უმწეო, შეუიარაღებელ ხომალდს და აცდინა. ოსტატური და სწრაფი მანევრობით ხომალდი თავს აღწევდა ბომბებს. ისინი სკდებოდნენ ხომალდის ქიმს იქით, ჰაერში სტყორცნიდნენ და გემბანს ასხამდნენ ტონობით წყალს.

გაბოროტებული მტერი ისე დაბლა დაეშვა, რომ თვითმფრინავის ფრთები შვიდ-ათი სანტიმეტრის მანძილზე იყო ანძიდან, და ხომალდს ტყვიამფრქვევი დაუშინა. ტყვიებ ხვრეტდა ხის კორპუსს, გამჭოლ ატანდა გემბანის ზედგმულებში. ამას გერმანელებისათვის სრულიად მოულოდნელი შედეგი მოჰყვა. გემბანზე 8 კაცი ავიდა. ზოგს წითელფლოტელის ტანსაცმელი ეცვა, ზოგს—ლურჯი სამუშაო კურტაკი. შეიდს ხელში ეჭირა შაშხანა, მერვეს—დაჭრილ უფროს ლეიტენანტ ტატარენკოს—ავტომატი.

— გერმანელს გრიგალისებური ცეცხლი!— გასცა ბრძანება უფროსმა ლეიტენანტმა.

ფაშისტი სწრაფად აფრინდა მაღლა და თვალთაგან მიეფარა.

საღამოხანს ერთბაშად მოფრინდა გერმანელთა 4 ბომბდამშენი. მათ კიჩოდან მოუარეს ხომალდს, კურსი აიღეს ქარის მიმართულებით. 100-150 მეტრის სიმაღლიდან დააყარეს ბომბები ხომალდს. და გემბანზე კვლავ ავიდა 8 მეზღვაური—8 მეომარი. და კვლავ აუტეხეს მათ თოფის სროლა საჰაერო მეკობრეებს.

ორასკილოგრამიანი ორი ბომბი ხომალდის ზედ ქიმთან გასკდა. ხომალდი მაღლა აიტყორცნა, შემდეგ ანძებამდე ჩაყურყუმელავდა წყალში. წარბშეუხრელად იდგა საჭესთან წითელფლოტელი პროცენკო. ახლა მის ოსტატობაზე, მის ვაჟკაცობასა და სისწრაფეზე იყო დამოკიდებული მთელი ეკიპაჟის ბედი გარშემო ახალ-ახალი ბომბები სკდებოდა ბომბების აფეთქებამ ხომალდს კარები დააგლიჯა, ძგიდეები დაუნგრია, სამანქანო განყოფილებაში წყალი შევარდა.

გათენდა მოგზაურობის მეორე დღე. ზღვაზე ქარიშხალი ამოვარდა. ქარიშხალი და ტალღები მთლად ანელებდნენ ხომალდის ისედაც ნელ სვლას. დაღლილ-დაქანცული ადამიანები გუშინდელი საჰაერო თავდასხმით მიყენებულ ჭრილობებს იშუშებდნენ. 5 საათსა და 20 წუთზე მესიგნალემ აცნობა: „ვხედავ სვასტიკიან თვითმფრინავს".

ორ საათს დასტრიალებდა „გრუნტს" „მესერშმიტი". ზარბაზნებისა და ტყვიამფრქვევების ცეცხლს უშენდა. დაუცხრილა გემბანი, ქიმები, დაუმსხვრია შიდა სადგომები. დაუზიანა ორთქლის მაგისტრალი. ქვაბების აფეთქების თავიდან ასაცილებლად ჩააქრეს ღუმელები. ხომალდმა სვლა დაკარგა. სისხლში მოსვრილი დაეცა სამჯერ დაჭრილი მეთაური. საჭესთან ზედიზედ გაიგმირა სამი წითელფლოტელი. ბოცმანი პალკოვი მზრუნველობით უცობდა ნახვრეტებს, მაგრამ მათ ადგილას ახლები ჩნდებოდა. 56 წლის მექანიკოსი სოკოლსკი, მიუხედავად იმისა, რომ კვამლისაგან სული ეხუთებოდა, ორი ვედროთი აქცევდა წყალს სამანქანო განყოფილებიდან.

სვავი, ბოლოს, წავიდა და მძიმედ დაზიანებულმა, ნახევრადჩაძირულმა ხომალდმა დრეიფობა დაიწყო. მანქანები აღარ მუშაობდნენ. დამსხვრეული იყო კომპასი, ლაგი, დიდი ხანია არ მოქმედებდა რაცია. ვინ უწყოდა, სად, თავის თუ მტრის ნაპირზე მიაგდებდნენ მას ტალღები?

პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ამხ. ზელენსკიმ თავი მოუყარა კომუნისტებს. და მათ ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება:

„რადაც უნდა დაგვიჯდეს, მივიყვანოთ ხომალდი საბჭოთა ნავსადგურამდე. იმ შემთხვევაში, თუ მტერი ხომალდის დატყვევებას შეეცდება,—ავაფეთქოთ „გრუნტი" და თვითონაც დავიღუპოთ".

ხომალდი განაგრძობდა დრეიფს. გამოელიათ წყლისა და პურის მარაგი. პატარა, მაგრამ მამაცი ხომალდის კორპუსი თანდათანობით ივსებოდა წყლით. ყოველ დილას კომუნისტები ტატარენკო, სერგეევი და ნოსოვიკი „საბრძოლო ფურცელს" უშვებდნენ.

ერთხელ ძლიერი, რვაბალიანი ქარიშხალი ატყდა. იგი რომ ჩადგა, მახლობლად ნაცნობი ნაპირის სილუეტი გამოჩნდა. ტალღებმა ხომალდი კავკასიის ერთ-ერთ ნავსადგურში მიიყვანეს. და აქ „გრუნტის" კორპუსში დაითვალეს 500-ზე მეტი ნახვრეტი.

შეკითხვაზე—„მაინც როგორ მოაღწიეთ?"— გმირებმა უბრალო და ამომწურავი პასუხი გასცეს:

— ჩვენ სევასტოპოლიდან ვართ.

ი. დუბინსკი

შავი ზღვის ფლოტი.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.

ფე 7962